პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 128 (9904) | სამშაბათი, 1 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დიადი ძალა. — „პრავდის“ 31/V მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბავშვთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის (1-ლი გვერდი).

პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად (1-ლი და მე-2 გვერდი).

დარბაზობა კრემლში რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).

კონცერტი სსრ კავშირის დიდ თეატრში რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მონაწილეებისათვის (მე-2 გვერდი).

ი. ნეხტეროვი. — მ. ი. გლინკა (მე-2 გვერდი).

კანონი საქართველოს საბჭოთა [illegible] ლიკის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის [illegible] (მე-2 გვერდი).

ე. ლეონტიევი. — მშვიდობის[illegible] სათვის! (მე-3 გვერდი).

ბავშვებს მშვიდობა, სიცოცხლე, ბედნიერება! (მე-4 გვერდი).

დაიხურა უნგრეთის მშრომელთა პარტიის III ყრილობა (მე-4 გვერდი).

მშვიდობას მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილებანი (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დიადი ძალა

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღესასწაული გადაიქცა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა ერთსულოვანი ოჯახის ურღვევი ერთიანობის მკაფიო და აღფრთოვანებულ დემონსტრაციად. ამით ახალი ძალით იჩინა თავი ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის მონოლითურმა დარაზმულობამ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

სამასი წლის წინათ მოძმე უკრაინა შეუერთდა რუსეთს. ორი დიდი ხლავი ხალხის შეერთებას უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

კაცობრიობის უდიდესი გენიის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის პროლეტარიატმა, დარაზმა რუსეთის მშრომელები და მიიყვანა ისინი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, სსრ კავშირში სოციალიზმის აშენებამდე, ჩაგრისაგან განთავისუფლებულ ხალხთა ურღვევი მეგობრობის დამკვიდრებამდე. ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის იდეების ერთგულმა რუსმა ხალხმა უხვი დახმარება გაუწია სსრ კავშირის ყველა ხალხს მათი ეროვნული სახელმწიფოებრიობის, მათი ეკონომიკისა და კულტურის შექმნასა და განმტკიცებაში.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი კანონიერი სიამაყის გრძნობით აღნიშნავს რუსი ხალხის თვალსაჩინო როლს ჩვენი დიადი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნასა და განმტკიცებაში. ეს გრძნობა მკაფიოდ გამოხატა მოძმე რესპუბლიკების დელეგატთა გამოსვლებში რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს 29 მაისის საიუბილეო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს.

სესია უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას, აგრეთვე ბრძანებულებას რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. რუსი ხალხი, რუსეთის ფედერაციის ყველა ხალხი მზად არის ამ მაღალ ჯილდოს უპასუხოს შემოქმედებითი შრომის ახალი წარმატებებით, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის, ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის კიდევ უფრო აქტიური წრძოლით.

„რუსმა ხალხმა, — ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი მისასალმებელ წერილში, რომელიც მიიღო რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიამ, — სსრ კავშირის ხალხთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ძმობისა და მეგობრობის ლენინური დროშისადმი ერთგულებით ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის, მსოფლიოს ყველა ხალხის სიყვარული და ნდობა მოიპოვა. რუსი ხალხი დიდად აფასებს ამ ნდობას და რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღესასწაულის ღირსშესანიშნავ დღეებში საქვეყნოდ იძლევა პირობას კვლავაც გაამართლოს ეს ნდობა მთელი თავისი საქმეებით, მოკავშირე რესპუბლიკების მოძმე ხალხებისადმი თავისი დახმარებით კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში“.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე რუსი ხალხისა და ფედერაციის სხვა ხალხებისადმი მისალმებები წარმოთქვეს თავიანთი ხალხების სახელით მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციათა წარმომადგენლებმა. სესიის მონაწილეებს, ხოლო მათი მეშვეობით ყველა მოძმე საბჭოთა ხალხს გულითადი მისალმების სიტყვებით მიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაციის ხელმძღვანელმა.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად გუშინ მოსკოვში, წითელ მოედანზე, გაიმართა პარადი და მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია, რომლებმაც ჩაიარა უდიდესი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში. პარადისა და დემონსტრაციის შემდეგ კრემლში მოეწყო დიდი დარბაზობა, რომელმაც მკაფიოდ გამოხატა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ერთიანობა, კომუნისტური პარტიის, მთავრობისა და საბჭოთა ხალხის ერთიანობა.

როგორც ყველა საბჭოთა რესპუბლიკა, რუსეთის სფს რესპუბლიკა ძალდნონთ სავსეა.

მოსკოვსა და ლენინგრადის, ურალისა და ვოლგისპირეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სულ უფრო მზარდი ინდუსტრიული ძალა, რუსეთის ფედერაციის სოციალისტური სოფლის მეურნეობა, რომელიც იზრდება და მტკიცდება მკაფიოდ განასახიერებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას.

სოციალისტური ერების ერთსულოვან ოჯახში უკრაინელ ხალხს თავისი დიდი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. უკრაინა გახდა ერთ-ერთი მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკა — ქვანახშირისა და ლითონის, მძლავრი მანქანათმშენებელი ინდუსტრიის რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირის უდიდესი ბედელი, ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი თავდადებით შრომობს იმისათვის, რომ განაბორციელოს გრანდიოზული ამოცანები კომუნისტური მშენებლობისა, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მიერ, შეასრულოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომლებშიც მოცემულია სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საბრძოლო პროგრამა.

სამუდამოდ ერთად! — უთხრეს ერთმანეთს რუსებმა და უკრაინელებმა 300 წლის წინათ. და ეს ვაჟკაცური ძმური სიტყვები ახლა წარწერილია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დროშებზე.

ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა მეგობრობა და ძმობა გამოჭედილია ერთობლივ ბრძოლაში ყველა და ყოველგვარი მჩაგვრელის — მეფის თვითმპყრობელობის, მემამულეთა ულლის, კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ეს მეგობრობა განმტკიცებულია სისხლით, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის შვილებმა დაღვარეს სამოქალაქო ომის ფრონტებზე. დიდი სამამულო ომის მკაცრ განსაცდელში სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა კიდევ უფრო გამოიწრთო და განმტკიცდა. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დიადი ძალა მკაფიოდ იჩუნს თავს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის წარმატებებში.

მტრის ვერავითარი ხრიკები ვერ დაარღვევს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას. საბჭოთა კავშირის სოციალისტური ერები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპისადმი ერთგულნი, ეხმარებიან ერთმანეთს და ქმნიან კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა დიდ, მსოფლიო ისტორიაში უმაგალითო, დარაზმულ არმიას. ჩვენს გზას კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ ანათებს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრება. ჩვენს სამშობლოს წინ მიუძღვის ბრძოლებში გამოწრთობილი გმირი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

„პრავდის“ 31/V მოწინავე.

ლვოვის თეატრის გასტროლები

უკრაინის სსრ ქალაქ ლვოვის მ. ზანკოვეცკაის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უკრაინული დრამატული თეატრის კოლექტივმა რუსთაველის სახელობის თეატრში გასტროლების მეხუთე დღეს — 30 მაისს თბილისელ მაყურებელს უჩვენა ლატვიური ლიტერატურის კლასიკოსის იან რაინისის ვ-მოქმედებიანი ხალხური სიმღერა „დაჰქროლე, ნიავო!“ (თარგმანი — გ. ბრეენვისა).

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს — ვ. ივჩენკოს, მხატვრობა — ი. სტეფანჩუკს, მუსიკა — უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს — ა. რადჩენკოს, ცეკვების დადგმა — ო. კორკოვიდოვს.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ: უკრაინის სსრ სახალხო არტისტები ვ. დანჩენკო და ა. კრივიცკაია, უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტები ნ. დოცენკო, ვ. კოლომოიცევა, ვ. პოლიშჩუკი, მსახიობები ო. ნოჟკინა, ს. გრიჩენკო, ა. კუშნირენკო, პ. გოლტა, რ. პენკოვიჩი, ვ. რაზუმნაია, გ. პოლიშჩუკი.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად

კაშკაშა გაზაფხულის დღეს — 30 მაისს მოსკოვი თითქოს გაახალგაზრდავდა. მზემ გააშუქა მისი მოედნები, ქუჩები, გაბრწყინა ძველი კრემლის კოშკები და ტაძრები, მაღალი შენობები, მთელი უზარმაზარი ქალაქი. პარკების, სკვერებისა და ბულვარების ზურმუხტისებრი მწვანე ლამაზად შეეხამა ყვავილნარებს.

დედაქალაქის მწვანე მორთულობას მიემატა სადღესასწაულო მორთულობა. ყველგან მოჩანს წითელი ტილოები, ტრანსპარანტები, უკრაინის ეროვნული ორნამენტი, წითელი ალმები, რუსეთის სფსრ სახელმწიფო ალმები ღია ლურჯი ზოლით ალმის ტართან და უკრაინის სსრ წითელ-ცისფერი სახელმწიფო ალმები. მოსკოვმა ზეიმით აღნიშნა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაული.

წითელი მოედნის გრანიტის ტრიბუნები დილიდან დაიკავეს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა, მოწინავე მუშებმა და კოლმეურნეებმა, მეცნიერებმა, მწერლებმა, ხელოვნების ოსტატებმა. აქ არიან რუსეთის ხალხთა რჩეულნი — რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. გულთბილად ხვდებიან დამსწრენი უკრაინელ ძეგრეას სტუმრებს. წითელ მოედანზე არიან აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების დელეგაციები, რომლებიც რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე ჩამოვიდნენ. გვგონია, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა, ყველა ხალხი შეიკრიბა აქ, რათა აღნიშნოს რუსი და უკრაინელი ხალხების სამი საუკუნის მეგობრობა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ურღვევი ძმური მეგობრობა.

ტრიბუნებზე არიან უცხოეთის დელეგაციები, რომლებიც საბჭოთა კავშირში სტუმრად არიან. მათ შორის არის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაცია.

ადგილებს იკავებენ დიპლომატიური კორპუსის წევრები, უცხო სახელმწიფოების სამხედრო ატაშეები.

მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. მ. ბულგანინი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ი. კირიჩენკო, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, მარშალები, გენერლები და ადმირალები. მათ ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

იწყება სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის, რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღესასწაულის აღსანიშნავი სამხედრო პარადი.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ნ. ა. ბულგანინმა, რომელიც პარადს ბღებს, ჩამოუარა ჯარებს. მან გულითადად მიულოცა მეომრებს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი. თავდაცვის მინისტრს ნ. ა. ბულგანინს ახლდა პარადის სარდალი არმიის გენერალი კ. ს. მოსკალენკო.

მღელვარედ ძგერს ნაცადი ოფიცრების, ჯარისკაცებისა და ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა მეომრების გული. მათ წილად ხვდათ პატივი მონაწილეობა მიიღონ სამხედრო პარადში, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანობის, მათი საბრძოლო მეგობრობის სიმბოლოა.

ისტორია ხატოვნად, მკაფიოდ მოგვითხრობს რუსებისა და უკრაინელების ერთობლივ ბრძოლაზე გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ. რუსი ხალხი ეხმარებოდა უკრაინელ ხალხს განმათავისუფლებელ ომში, რომელსაც იგი ეწეოდა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის ბოგდან ხმელნიცკის ხელმძღვანელობით. მოსკოვის, კიევის შვილები რუსეთის სხვა ხალხებთან ერთად იბრძოდნენ პოლონეთის შლიახტის, თურქ-თათარ დამპყრობლთა, შვედ თავდასხმელთა და ნაპოლეონის ინტერვენციონისტული ლაშქრის წინააღმდეგ. რუსები და უკრაინელები მხარდამხარ ყლეტდნენ მტერს განთქმულ პოლტავის ბრძოლაში, 1812 წლის სამამულო ომში, მონაწილეობდნენ სევასტოპოლის გმირულ დაცვაში 1853-1856 წლების ყირიმის ომის პერიოდში. რუსი და უკრაინელი ხალხების კავშირმა, რაც განმტკიცდა საომარლოსათვის ბრძოლებში დაღვრილი სისხლით, ახალი ძალით იჩინა თავი სამოქალაქო ომსა და დიდ სამამულო ომში.

და როცა ათასსმაინმა ორკესტრმა, რომელიც მავზოლეუმის პირდაპირ იდგა, დაგუგუნა გლინკას „იდიდე“, ეს იყო ამათი დიდება, ვინც საუკუნეთა მანძილზე განამტკიცებდა უკრაინისა და რუსეთის ხალხთა მეგობრობას, იმათი დიდება, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა საომნელოს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ბედნიერებისათვის.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ნ. ა. ბულგანინმა დათმავრა ჯარების ჩამოვლა და მავზოლეუმის ტრიბუნაზე ავიდა. მან წარმოთქვა სიტყვა, რომელიც რადიომ მთელ ჩვენს ქვეყანას მოფინა.

საბჭოთა კავშირის მარშლის ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დიდი უკრაინელი ხალხისა და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ძვირფასო წარმომადგენლებო!

ძვირფასო უცხოელო სტუმრებო!

საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მოგესალმებით და გილოცავთ თვალსაჩინო ისტორიულ დღესასწაულს — რუსეთთან უკრაინის შეერთების სამასი წლისთავის დღეს.

სახელოვანი იუბილე, უკრაინელი და რუსი ხალხების დიდი ეროვნული დღესასწაული, რომელიც ამ დღეებში აღინიშნება მთელს საბჭოთა ქვეყანაში, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხის დღესასწაულია.

შორეულ წარსულში, შექმნილ პირობათა გამო, უკრაინელი და რუსი ხალხები ხანგრძლივი დროის მანძილზე მოწყვეტილი იყვნენ ერთმანეთს. უცხოელი დამპყრობლები, სარგებლობდნენ რაამ გათიშვით, ჯიჯგნიდნენ და ძარცვავდნენ უკრაინის მიწაწყალს. მაგრამ უკრაინის თავისუფლებისმოყვარე ხალხი ქედს არ იხრიდა უცხოელთა წინაშე და იარაღით ხელში გმირულად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის.

ასეთ პირობებში, 300 წლის წინათ, პერეიასლავის რადამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება რუსეთთან უკრაინის შეერთების შესახებ. ამ გადაწყვეტილებით ახალი ეპოქა დაიწყო უკრაინელი და რუსი ხალხების ცხოვრებაში.

ორი დიდი სლავი ხალხის შეერთებამ ხელი შეუწყო მათი სამხედრო, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის გაფართოებას. მან მტკიცე გავლენა მოახდინა რუსეთისა და უკრაინის ძლიერებისა და საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებაზე. სამარადისოდ შეუერთდა რა რუსეთს, უკრაინელმა ხალხმა თავისი ეროვნული განვითარების შესაძლებლობა მიიღო.

რუსეთთან უკრაინის შეერთებისადმი მიძღვნილი საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეებში არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი დამსახურება, რომელიც ეკუთვნის ამ ისტორიული მოვლენის განხორციელებაში უკრაინელი ხალხის გამოჩენილ შვილს ბოგდან ხმელნიცკის. გამოხატავდა რა თავისი ხალხის ოცნებასა და მისწრაფებებს, იგი მტკიცედ ცდილობდა მიეღწია რუსეთთან უკრაინის შეერთებისათვის და კიდევაც მიაღწია ამ დიად მიზანს.

ბოგდან ხმელნიცკი თავისი ხალხის ნიჭიერი ბელადი, შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე და ბრძანლაზებული სოფლის მეურნეობა, უმაგალითო აყვავებას მიაღწია ნამდვილმა სახალხო სოციალისტურმა კულტურამ.

საბჭოთა უკრაინის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა უკრაინის მთელი მიწაწყლის გაერთიანება ერთიან სახელმწიფოში, რის შედეგადაც უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ევროპის ერთ-ერთი უდიდეს სახელმწიფოდ გადაიქცა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში უკრაინელი და რუსი ხალხების ძმური მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ეს მეგობრობა განმტკიცებულია სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ერთობლივი შრომითა და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საერთო ბრძოლაში დაღვრილი სისხლით უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის წლებსა და დიდი სამამული ომის პერიოდში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უკრაინელი და რუსი ხალხები, ისევე როგორც ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს ყველა ხალხი, მტკიცე რწმენით მიდიან წინ, კაცობრიობის ბრწყინვალე მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად, რომელიც ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მოძღვრებასა და ანდერძს ემყარება, ჩვენს ქვეყანაში მიღწეულია თავისუფალი სოციალისტური ერების უმაგალითო დარაზმულობა. ხალხთა მეგობრობა ჩვენში გადაიქცა საბჭოთა საზოგადოების მძლავრ მამოძრავებელ ძალად, ჩვენი სახელმწიფოს ძალისა და სიმტკიცის წყაროდ. ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალები, რომელთა რიგებშიც საბჭოთა კავშირის მრავალი ეროვნების შვილები მსახურობენ, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობისა და საბრძოლო ამხანაგობის ცოცხალი განსახიერებაა.

გაუმარჯოს უკრაინელი, რუსი ხალხებისა და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის მარად ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ვაშა!

• • •

გაისმა მძლავრი „ვაშა“. შთაგონებულად და დიდებულად ეღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. დაიგრგვინა საარტილერიო სალუტმა.

წითელ მოედანზე დაიძრნენ ჯარები. მშვენიერი სანახაობაა! ტრიბუნაზე წამდაუწუმ გრიალებს ტაში. იდეალური სწორება. მტკიცეა ნაბიჯი. მოდიან სამხედრო აკადემიათა მსმენელები, მეთაურები და მასწავლებლები. როგორც ყოველთვის, წინ მოდის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის აკადემია.

საბჭოთა ხალხების მეგობრობას, საბრძოლო ამხანაგობას მოწმობს იმათი ბიოგრაფიები, ვინაც პარადის მწკრივებში ვხედავთ. მავზოლეუმს ჩაუარეს საბჭოთა კავშირის გმირებმა რუსმა ბელოზერცევმა და უკრაინელმა სტეპანჩენკომ. დნეპრის გადალახვის დროს ორივემ გამოიჩინა გმირობა და საყვარელი სამშობლოსადმი ჯარისკაცული ერთგულება. იქვე ისახელა თავი ოფიცერმა აფანასიევმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, რომელიც ახლა მეწინავე კოლონაშია. იგი მსროლელთა ასეულის მეთაური იყო და მოწინააღმდეგის გრიგალისებურ ცეცხლში მებადურთა ნავებითა და ტივებით გადალახა დნეპრი. დნეპრის გადალახვისა და კიევის განთავისუფლებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიიღეს 30-ზე მეტი ეროვნების მეომრებმა.

დიდი სამამულო ომის წლებში რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, სომხები, ყაზახები, უზბეკები და სხვა ხალხები იარაღით ხელში თავგანწირულად იბრძოდნენ მოსკოვთან, ლენინგრადთან, სტალინგრადთან, მტრისაგან ათავისუფლებდნენ სამშობლოს. ერთიანეული მათგანი იცავდა თავისი მრავალეროვანი სახელმწიფოს, ყველა საბჭოთა ადამიანის

(დასასრული მე-2 გვერდზე).

დარბაზობა კრემლში რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად

30 მაისს კრემლში რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ დიდი დარბაზობა გამართეს.

კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში შეიკრიბნენ სსრ კავშირის მთავრობის წევრები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, რუსეთის სფსრ მთავრობის წევრები, უკრაინის სსრ დელეგაცია და სხვა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების დელეგაციები, რომელნიც ჩამოვიდნენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე, სსრ კავშირის და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობის წარჩინებული ადამიანები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, საბჭოთა არმიის, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები.

შეკრებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს გ. მ. მალენკოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. ა. ბულგანინს, ა. ი. მიქოიანს, მ. გ. პერვუხინს, ნ. მ. შვერნიკს, ა. ი. კირიჩენკოს, მ. ა. სუსლოვს, პ. ნ. პოსპელოვს, მ. პ. ტარასოვს, ა. მ. პუზანოვს, დ. ს. კოროტჩენკოს, ნ. ტ. კალჩენკოს, რომლებიც დარბაზში შემოვიდნენ.

შეკრებილებმა მხურვალედ დაუკრეს ტაში, როცა ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და მ. პ. ტარასოვმა გამარჯვება უსურვეს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის ღირსშესანიშნავ თარიღს, დიდი რუსი ხალხისა და უკრაინელი ხალხის და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა საუკუნო ურღვევ მეგობრობასა და ძმობას, საბჭოთა კავშირის ბრძენ კომუნისტურ პარტიას, მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების ხალხებს, მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას, მათს ურღვევ კავშირს, მამაც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიან პოლიტიკას, საბჭოთა სამართლის, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მოღვაწეებს.

გამარჯვება უსურვეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხს, რესპუბლიკისა, რომლის სეიმის დელეგაცია დაესწრო რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიას, გამარჯვება უსურვეს მშვიდობისა და დემოკრატიის მძლავრი ბანაკის ყველა ხალხს.

შუა დარბაზობის დროს გიორგის დარბაზში შემოვიდა ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი, რომელიც ის-ის იყო დაბრუნდა ჟენევიდან. შეკრებილნი მას გულთბილად შეხვდნენ.

დარბაზობა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ერთიანობის მკაფიო გამოხატულება, კომუნისტური პარტიის, მთავრობისა და საბჭოთა ხალხის ერთიანობის გამოხატულება იყო.

* * *

დარბაზობის დროს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მსახიობებმა. (საკდესი).

ბავშვთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის

ხუთი წლის წინათ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ დაადგინა ყოველწლიურად 1 ივნისს აღინიშნოს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

ომი ყველაზე საშინელი საფრთხეა მთელი მსოფლიოს ბავშვებისათვის. სწორედ ამიტომ ბოლო წლებში მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის ზრდასთან ერთად ფართო გაქანება მიიღო მოძრაობამ ბავშვთა დაცვისათვის.

არ არის ქვეყანა არც ერთი ხალხი, რომელიც სისხლხორცეულად არ იყოს დაინტერესებული თავისი ბავშვების ბედით, რადგან ბავშვები ხალხების, კაცობრიობის მომავალია.

სულ უფრო მეტი ადამიანი იმსჭვალება იმის შეგნებით, რომ ბავშვების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას ვერ დაიცავ, თუ არ დაიცავ მშვიდობის საქმე.

მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდშია მძლავრი დემოკრატიული ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას დიდი საბჭოთა კავშირი და რომელიც მთელ მსოფლიოში ყველაზე ჯანსაღი და ბედნიერი ნორჩი თაობის კეთილდღეობის სადარაჯოზე დგას.

საბჭოთა კავშირში შექმნილია ყველა პირობა ბავშვთა ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ბავშვთა აღზრდას პიროვნულ-ხალხთა ერთიანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ თვლიან. როგორც ალერსიანი დედა სთავაზობს თავის შვილს ყოველივე საუკეთესოს, რაც მას აქვს, ისე ჩვენი სამშობლო არ იშურებს სახსრებს და ყოველ ღონეს ხმარობს თავისი ნორჩი მოქალაქეების კარგი მოვლისა და აღზრდისათვის. საუკეთესო ექიმები იცავენ საბჭოთა ბავშვების ჯანმრთელობას, გამოცდილი პედაგოგები ზრდიან მათ სამაგვარო ბაღებსა და სკოლებში, ჩვენი მეურნეები თავის საპატიო მოვალეობად თვლიან შექმნან ბავშვებისათვის მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოებები. პიონერებისა და მოსწავლეებისათვის გახსნილია ათასობით პიონერთა სახლი და სახლი, ნორჩ ნატურალისტთა, ორჩ ტექნიკოსთა სადგურები და სხვ. ფართოვდება სამაგვარო ბაგების, სამაგვარო ბაღებისა და სამაგვარო სახლების სახელმწიფო ქსელი. წლითიწლობით მატულობს სკოლების რაოდენობა. უკანასკნელი 4 წლის მანძილზე სსრ კავშირში აშენდა დაახლოებით 11 ათასი სკოლა 2 მილიონი მოსწავლისათვის.

მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში უდიდესი საშუალებანი მოზარდი თაობის განვითარებისა და განათლებისათვის. მარტო საქართველოში თვლება 4.208 დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლა, რომლებშიც 650 ათასზე მეტი მოსწავლეა.

სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის, მათ შორის განათლებისათვის, ასიგნებულია 141 მილიარდ მანეთზე მეტი. მიმდინარე წელს იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც საშუალო სკოლას დაამთავრებენ, დაახლოებით ერთიოროად მეტი იქნება 1953 წელთან შედარებით. ეს კი უდავოდ მოწმობს ხერხიწულ წარმატებებს საყოველთაო საშუალო განათლების ამოცანის განხორციელებაში, რაც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ.

ჩვენი ქვეყნის ბავშვები იზრდებიან როგორც საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. საბჭოთა სახელმწიფო ბავშვებს ზრდის მხნე, სიცოცხლით სავსე, ჯანსაღ, განათლებულ ადამიანებად. მათთვის დამახასიათებელია კეთილშობილური თვისებები — მორალური სიწმინდე, ურთიერთმეგობრობის გრძნობა, მგზნებარე სიყვარული სამშობლოსადმი. სსრ კავშირში არ არიან უპატრონო და უმეთვალყურეო ბავშვები. ჩვენი სახელმწიფო დიდ მზრუნველობას ეპყრობა და დახმარებას უწევს მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს. 1953 წელს საბჭოთა სახელმწიფომ მარტოხელა და მრავალშვილიან დედებს მისცა 6 მილიარდ 500 მილიონ მანეთზე მეტი დახმარება.

საბჭოთა კავშირის მაგალითით შთაგონებულმა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. ამ ქვეყნების პატარა მოქალაქეებმა ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება მოიპოვეს. სახალხო-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ბავ

პარადი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად

(დასასრული)

თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მტკიცე ნაბიჯით, ზუსტ მონოლითურ სწორკუთხეებად ჩაუარეს ჯარის ქვეგანყოფებმა მავზოლეუმსა და ტრიბუნებს. განუწყვეტლივ უკრავს ვეებერთელა ორკესტრი. რიტმი მკაფიო, ხოლო ნაბიჯი მტკიცე და მწყობრი ხდება. ტრიბუნებიდან ტკბებიან დიდებული სანახაობით, ტაშს უკრავენ მეომრებს.

ოფიცრებს მუნდრირებზე ორდენები და მედლები უბრწყინავთ. სუვოროვის, კუტუზოვის, ბოგდან ხმელნიცკის, ალექსანდრე ნევსკის ორდენებით, სხვა საბრძოლო ჯილდოებით აღინიშნა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შვილთა გმირობა.

აღტაცებით შეჰყურებენ მნახველნი დიდი სამამულო ომის სახელოვან გმირებს. ბევრ მათგანს უმსახურნია კიევის, დნეპრის, ეიტომირის, პოლტავის, ლვოვის პოლკებსა და დივიზიებში, სხვა ნაწილებში, რომელთა საბრძოლო ისტორიაც დაკავშირებულია უკრაინის განთავისუფლებასთან. მათ მისცა სალუტი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა, მათ პატივსაცემად ასრიალდა ჰაერში ფერადფერადი რაკეტები და გაიშალა საუცხოო ფეიერვერკად. მოდიან უკრაინის ყოფილი პარტიზანები — კოვპაკის, ფედოროვის, რუდნევის, საბუროვის, ბეგმას თანამებრძოლები. უკრაინის პარტიზანთა შეერთებაში ყავენ 62 ეროვნების წარმომადგენელნი, პარტიზანთა თითქმის ნახევარს რუსები შეადგენდნენ.

ტრიბუნებიდან გულთბილად მიესალმებიან ქვეითებს, მეზღვაურებს, მედესანტეებს, არტილერისტებს. კინონიერ სიამაყეს იწვევენ მესაზღვრენი. მათი დროშა მოაქვს საბჭოთა კავშირის გმირს ხომრაჩს.

მძლავრმა ტექნიკამ გაიარა წითელ მოედანზე. ამდენიმე წუთს გუგუნებდა ქვემეხის ავტომობილთა მოტორები. მანქანები მიდიოდნენ მწკრივში ოთხ-ოთხად დაწყობილნი. ჯერ ქვეითი ჯარის ზარბაზნები, შემდეგ ვრძელლულიანი საზენიტო ზარბაზნები, მოკლე ჰაუბიცები. სწელ სალტეებზე მოგორავდნენ მსხვილი კალიბრის შორსასროლი ქვემეხები. საყოველთაო აღტაცება გამოიწვია გვარდიის ნაღმსატყორცნებმა „კატიუშებმა“ და მათმა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა მებრძოლმა მეგობრებმა.

დიდებული იყო ფრთოსანი ტექნიკის პარადი. ფლაგმანზე იყვნენ პილოტაჟის ოსტატები საბჭოთა კავშირის გმირი ხვოსტუნოვი და როშჩინი. ერთი წამიც და ცაში გაისმა გუგუნი. გამოჩნდნენ რეაქტიული ბომბდამშენები. ამ თვითმფრინავთა ჯგუფები მოჰყავდათ საბჭოთა კავშირის გმირს კიბალჩიჩს, ლუკინსა და აგაფონოვს. ტრიბუნებიდან მხურვალედ მიესალმნენ ჩვენს მფრინავებს, კონსტრუქტორებს, თვითმფრინავმშენებლებს.

გაიელვეს რეაქტიულმა ავიაგამანადგურებლებმა. მფრინავებმა მიქოიანმა, ბაბაევმა, კელეინიკოვმა, მათმა ამხანაგებმა ცხადყვეს ზღაპრული ოსტატობა. ვერცხლისფერი მანქანები ზღაპრული სისწრაფით ჩნდებოდნენ და იმალებოდნენ ლაჟვარდ სივრცეში.

წითელ მოედანზე გამართულმა პარადმა ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები სანიმედო ბურჯია საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომისა, რომელნიც კომუნიზმის გამარჯვებისაკენ მიდიან.

• • •

მოედანი ერთი წამით მიწყნარდა. მაგრამ აი უკვე გაისმის ათასობით ხმის მხიარული გუგუნი. იწყება მოსკოვის მშრომელთა დემონსტრაცია, მიძღვნილი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დიადი დღესასწაულისადმი.

წითელი მოედნის ცენტრს უახლოვდება მედროშეთა ჯგუფი. წინ ამაყად ფრიალებს მოსკოვის დროშა, რომელიც გარემოსილია დიდი ქალაქის — რუსეთის სახელმწიფოს შექმნის საფუძვლისა და ინიციატორის მრავალსაუკუნოვანი დიდებით. მოსკოვის ძველ კრემლში საერთო კრებამ გამოიტანა ისტორიული გადაწყვეტილება რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში უკრაინის მიღების შესახებ.

მქუხარე აღტაცებით ეგებებიან ნორჩ ლენინელთა კოლონების შემოსვლას მოედანზე. მათ სიხარულით უცქერთ გული. ბავშვები სალმის ნიშნად მაღლა სწევენ ყვავილების თაიგულებს, რომლებიც მათ წითელ მოედანზე მოიტანეს ნალნთა მეგობრობის დღესასწაულის აღსანიშნავად. ისინი აღტაცებით შეჰყურებენ მზით გაკაშკაშებულ ტრიბუნებს, მკაფიო ეროვნულ ორნამენტს, რუსი და უკრაინელი ხალხების მეგობრობისადმი მიძღვნილ დროშებს. რამდენიმე პიონერი ადის მავზოლეუმის ტრიბუნაზე და ყვავილებს უძღვნის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

დროშების ზღვა ალისფერ აბრეშუმად მოეფინა მოედანს. სსრ კავშირის სახელმწიფო ალმის გარშემო თექვსმეტი მომძე რესპუბლიკის ალმებია. წითელი მოედნის კიდითკიდემდე გადაჭიმული ტილოები, რომლებსაც აწერია მისალმებისა და მეგობრობის სიტყვები რუსეთის ფედერაციის ყველა ხალხისაგან, მოსკოვის მშრომელებისაგან აყვავებული უკრაინისადმი, რომელმაც 300 წლის წინათ მოახდინა ისტორიული და ცხოველმყოფელი აქტი — შეუერთდა რუსეთს.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი წითელი, ცისფერი, თეთრი, ოსპამნისფერი ყვავილების თაღით უერთდება უკრაინის სსრ გერბს. ეს ნაირფერადი ემბლემა მავზოლეუმის ტრიბუნების ახლოს მოაქვთ დედაქალაქის კიროვის რაიონის მშრომელებს. მათს მსვლელობას ხვდებიან მისასალმებელი შეძახილებით სსრ კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე.

ყურადღებას იპყრობს მოედანზე ყვავილებით გაკეთებული უზარმაზარი ასოები. ეს ასოები ქმნიან თვითეული საბჭოთა ადამიანის გულისათვის მახლობელ სიტყვებს:

დიდება სამშობლოვ, შენ თავისუფალო, ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!

დემონსტრანტთა მოზეიმე რიგებში, რომლებიც გაკაშკაშებულია მზით, ისმის წმიდა ფიცი:

— სამუდამოდ ერთად! ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს რუსი და უკრაინელი ხალხების, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ურღვევი საუკუნო მეგობრობა!

ტრიუმფალური მსვლელობის მონაწილეებს მაღლა უჭირავთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური დამაარსებლის — ლენინის, მისი თანამებრძოლის დიდი სტალინის პორტრეტები. დროშას აწერია ლენინის სიტყვები: ველიკორუსი და უკრაინელი პროლეტარების ერთიანი მოქმედების დროს თავისუფალი უკრაინა **შესაძლებელია**, ასეთი ერთიანობის უქონლად მასზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

შორს ირგვლივ ასობით რადიორუპორი იმეორებს შეძახილებს: „ვაშა!“, „გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს!“. მოედანზე მომავალი მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები აღიდებენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხის შთაშგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

მშრომელებს მოაქვთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების — გ. მ. მალენკოვის, ვ. მ. მოლოტოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. მიქოიანის, მ. ზ. საბუროვის, მ. გ. პერვუხინის პორტრეტები.

ტრიბუნების წინ მოდიან ფრუნზეს, პროლეტარსკის, კრასნაია პრესნიას და დედაქალაქის სხვა რაიონთა უდიდესი ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები.

მუშათა კოლონების რიგებში, რომლებიც მოედანზე მოდიან, აღმართულია ამ დღეებში ლენინის ორდენით დაჯილდოებული რუსეთის ფედერაციის დროშები ტართან წითელი და ღია ლურჯი ზოლით. მოდის რუსეთის მუშათა კლასი, მოდიან იმათი შვილები, ვისაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში მიჰყავდა უკრაინის პროლეტარიატი, ყველა მშრომელი და ექსპლატირებული.

რუსეთის ფედერაცია იყო ბირთვი, რომლის გარშემოც იქმნებოდა და მტკიცდებოდა დიდი მრავალეროვანი სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. მოსკოვის კიევის რაიონის მშრომელებს მოაქვთ მწვანისა და ყვავილებისაგან გაკეთებული თაღი. ყვავილები ქმნიან ჰიმნის სიტყვებს: „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს!“ თვალისჩინივით უფრთხილდებიან საბჭოთა ადამიანები ჩვენი ქვეყნის ხალხთა შრომასა და ბრძოლაში გამოწრთობილ ურღვევ მეგობრობას. რუსეთთან უკრაინის შეერთების სახელოვანი 300 წლისთავის დღესასწაული გადაიქცა ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხის ძმური ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციად. წითელ მოედანზე, კრემლის მწვანით დაჩრდილულ ჭაღარა კედლებთან მძლავრად გაისმის:

— გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმურ მეგობრობას — მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყაროს!

გამქვირვალე ჰაერში წკრიალებენ ახალგაზრდა ხმები, ერთმანეთს ერწყმიან რუსული და უკრაინული სიმღერების მელოდიები. ტრიბუნიდან მოისმის მხურვალე მისალმებანი. ტროხგორკის ახალგაზრდა მუშა ქალებს მოაქვთ თაიგულებსა და გვირგვინებში ჩასმული ფეერადი ჰლაკატი. ჰლაკატზე დახატულია ორი მშვენიერი ქალიშვილის სახე. სხვადასხვანაირია მათი წარმტაცი მშვენიერება. მაგრამ სჭარბობს ნათესაური მსგავსება — დები ხარან! მათი სახელია რუსეთი და უკრაინა.

ლურჯ ცაში მიფრინავენ ფერადი მსუბუქი ბურთობები. თვალწარმტაცე ფერად ხალიჩას ქმნიან დროშები და თაიგულები, რომლებითაც გაფორმებულია მოსკოვის ლენინის რაიონის მშრომელთა კოლონები. ყველაზე ლამაზი და ღაღადაკი ყვავილებისაგან აჩარა მოწნული უზარმაზარი გვირგვინი, რომელშიც ჩასმულია ციფრი „300“. ციფრის ორთავე მხარეს რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის სსრ გერბებია.

საღღესასწაულო კოლონების გაფორმებით მკაფიოდ გამოიხატა საბჭოთა ადამიანების მისწრაფება — კიდევ უფრო გაადიდონ სამშობლოს ძლიერება, კიდევ უფრო უზრუნველყოფილი და ლამაზი გახადონ ხალხის ცხოვრება. ამ ამოცანების გადაჭრაში დიდი როლი შეასრულეს რუსეთის ფედერაციის მშრომელებმა, ფედერაციისა, რომელმაც ომისშემდგომ წლებში თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარებაში. ამას მოწმობენ მკაფიო ციფრები და მოწოდებანი დროშებსა და ტრანსპარანტებზე:

— სამრეწველო პროდუქციის გამოშვება რუსეთის სფს რესპუბლიკაში 2,5-ჯერ გადიდდა.

— 1953 წელს რუსეთის სფსრ კოლმეურნეობებში მექანიზებულია მინდვრის ყველა სამუშაოთა 80 პროცენტზე მეტი.

— რუსეთის ფედერაციას მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონში გამოეყო 60 ათასი ტრაქტორი.

მოსკოვი, ლენინგრადი, ურალი, რუსეთის ფედერაციის უდიდესი სამრეწველო ცენტრები წამყვან როლს ასრულებენ ჩვენი ქვეყნის მანქანათმშენებლობის განვითარებაში. მოსკოვის ჩარხმშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარისა“ და სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის მუშები საღღესასწაულო დემონსტრაციაში გამოვიდნენ ამ ახალი შრომითი გამარჯვებების პატაკებით, რომლებიც მოპოვებულია საღღესასწაულო „შეჯიბრებაში. ერთ-ერთ ტრანსპარანტზე წერია: — კრასნაიპროლეტარელებმა ხუთი თვის გეგმის გადაკრბებით 160 ჩარხი გამოუშვეს! ქარხნის დროშა მოაქვთ წარმოების ნოვატორებს სტალინური პრემიის ლაურეატებს ხარატებს კუზმინსა და შუმილინს.

მოსკოვის ქარხანა „დინამოს“ დემონსტრანტთა რიგებში არიან წარჩინებული ოსტატები კოსიაკოვი და ლუკახინი. სხვა მოსკოველებთან ერთად მათ თავიანთი შრომა მოახმარეს ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგურის აღდგენას. ახლა დინამოელები ასრულებენ დიდ დაკვეთას უკრაინის ახალშენებლობებისათვის. საღღესასწაულო კოლონაში არიან ვიტორო ემელიანოვი და სხვა ინჟინრები — კახოკის ჰესისათვის უნიკალური მოწყობილობის შემქმნელნი.

წითელ მოედანზე მოდიან მეცნიერები, არქიტექტორები, მხატვრები, რომლებმაც ბევრი შემოქმედებითი ენერგია დახარჯეს, რათა უკრაინა გაეხადათ კიდევ უფრო ლამაზი, კიდევ უფრო გაედიდებინათ მისი საწარმოო ძალები და გაემრავლებინათ ხალხის სიმდიდრე. რუსმა აკადემიკოსმა ნიკიტინმა ტექნიკის უკრაინელ ნოვატორებთან ერთად შექმნა შესადუღებელი მოწყობილობის თეორია. დიდი რუსი მეცნიერების ტერპიგორევისა და შვეიაკოვის დამსახურება დონბასის შახტებში ქვანახშირის ამოღების მექანიზაციაში. მჭიდრო შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს მოსკოველ მსახიობებსა და ლიტერატორებს კიევის ხელოვნების მუშაკებთან.

სულ ახალი და ახალი კოლონები შემოდიან მოედანზე და თვითეულ მათგანს თავისი მშვენიერი წვლილი შეაქვს ამაღელვებელი სიმღერის სურათში. აი ერთვნული კოსტიუმებით — რუსული და უკრაინული კოსტიუმებით გამოწყობილ ქალიშვილთა ჯგუფი მისალმების ნიშნად აქნევს მინდვრის ყვავილის ტაშს თაიგულებს. მათ მხურვალედ უკრავენ ტაშს ტრიბუნებიდან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმოგზავნილები, რომლებიც სახელოვანი იუბილეს დღესასწაულზე ჩამოვიდნენ.

დემონსტრაციის მონაწილეებმა საყოველთაოსახალხო დღესასწაულის დღეს გულითადი სალამი შეუთვალეს დიდი ჩინეთის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

საზეიმო სვლას ტრადიციის მიხედვით ამთავრებენ ფიზკულტურელები, სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობა. მის რიგებში არიან სტუდენტები მოსკოვის უნივერსიტეტისა, სადაც სწავლობს საბჭოთა კავშირის 59 ეროვნების 18 ათასამდე ჰაბუკი და ქალიშვილი.

მშრომელთა დემონსტრაციამ წითელ მოედანზე ჩაიარა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის მშიდროდ დარაზმვის ნიშნით. დემონსტრანტებმა მხურვალედ გამოთქვეს თავიანთი ურყევი მისწრაფება — მთელი ძალები მოახმარონ კომუნიზმის მშენებლობის დიდ საქმეს.

(საკდესი).

კონცერტი სსრ კავშირის დიდ თეატრში რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მონაწილეთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

29 მაისს სსრ კავშირის დიდ თეატრში რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი, მიძღვნილი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი. მრავალფეროვან პროგრამაში იყო რუსული, უკრაინული, ბელორუსული ხალხური სიმღერები და ცეკვები, მუსიკალური კლასიკისა და თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებნი.

სადღესასწაულოდ მორთულ სცენაზეა გაერთიანებული გუნდი, რომელშიც შედიან სსრ კავშირის დიდი თეატრის გუნდი, რუსული სიმღერის გუნდი, საკავშირო რადიოს დიდი გუნდი და მოსკოვის საგუნდო სასწავლებლის ვაჟთა გუნდი, აგრეთვე სსრ კავშირის დიდი თეატრის ორკესტრი. ზეიმოვნად და დიდებულად გაისმა დ. შოსტაკოვიჩის კანტატა „ჩვენს სამშობლოს მზე დაჭნთის“, რაც მათ შეასრულეს.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ვ. მურადელის ახალ სიმღერას „უკრაინა და რუსეთი“, რომელიც შეასრულეს დიდი თეატრის სოლისტებმა რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა ნ. შაილერმა, ვ. გაგარინამ, ე. ბელოვამ, ა. გრიგორიევმა გაერთიანებულ გუნდთან და ორკესტრთან ერთად.

მაყურებლებმა ყურადღებით მოისმინეს ვ. მაიაკოვსკის პოემის „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის“ ნაწყვეტი, რომელიც წაიკითხა რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა ვ. აქსინოვმა.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ე. გილელსმა ოსტატურად შეასრულა ფინალი ჩაიკოვსკის პირველი კონცერტისა ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. მაყურებლებმა ტაშით დაჯილდოეს რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ლ. მასლენიკოვა, რომელმაც დიდი თეატრის ორკესტრთან ერთად შეასრულა სტეცენკოს „საღამოს სიმღერა“.

დიდი აღმავლობით შეასრულა რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. პეტროვმა დიმიტრი დონსკოის არიოზო შაპორინის სიმფონია — კანტატიდან „კულიკოვოს ველზე“ და ერიომკას სიმღერა სეროვის ოპერიდან „მტრის ძალა“ დიდი თეატრის ვაჟთა გუნდთან ერთად.

მაღალი ოსტატობა გამოიჩინა ვიოლინისტებმა — საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატებმა, მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის პროფესორებისა და მოსწავლეების ანსამბლმა, რომელმაც დიდი თეატრის ორკესტრთან ერთად შეასრულა ბახის პრელუდია.

ტაშის გრიალში ჩაიარა ცნობილი უკრაინელი მომღერლის სსრ კავშირის სახალხო არტისტის მ. გრიშკოს გამოსვლამ. მან შეასრულა ბოგდანის არია დანკევიჩის ოპერა „ბოგდან ხმელნიცკიდან“. მომხიბვლელი იყო უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტის ტ. პონომარენკოს და უკრაინის სსრ სახალხო არტისტის პ. ბელინიკის გამოსვლა. მათ ცხადყვეს მშვენიერი ვოკალური კულტურა ოქსანას და ანდრიას დუეტში გულაკ-არტემოვსკის ოპერიდან „ზაპოროჟიელი დუნაის გაღმა“.

სსრ კავშირის დიდი თეატრის ორკესტრმა 140 მუსიკოსის შემადგენლობით აღმავლობით შეასრულა ჩაიკოვსკის მეოთხე სიმფონიის ფინალი. დიდი ოსტატობით დირიჟორობდა ორკესტრს რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. ივანოვი.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სასულე ორკესტრმა, რომელსაც დირიჟორობდა საბჭოთა არმიის მთავარი დირიჟორი პოლკოვნიკი ი. პეტროვი, ძლიერად და დიდებულად შეასრულა ლისენკოს ოპერის „ტარას ბულბას“ უვერტიურა. ამ ორკესტრმა და მოსკოვის სამხედრო ოლქის ნაწილების მხატვრული თვითმოქმედების გაერთიანებულმა გუნდმა შეასრულეს აგრეთვე ჩაიკოვსკის საზეიმო უვერტიურა „1812 წელი“. ამ შესანიშნავი კოლექტივის გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შეკრებილებზე. საზეიმო უვერტიურის ფინალი ხელმეორედ შეასრულებინეს.

მეგანდურეთა ტრიომ, რომელშიც შედიან კიევის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები ტ. პავლენკო, ნ. პოლიშჩუკი და ი. ტრეტიაკოვა, დიდი ლირიზმითა და არტისტულობით შეასრულა უკრაინული ხალხური სიმღერა „ოი, დიგჩინო, შუმიტ გაი“ და ნოვიკოვის სიმღერა „ველზე ძახველის ბუჩქია“.

დიდი წარმატებით ჩაიარა ბელორუსიის სახელმწიფო სახალხო გუნდის (სამხატვრო ხელმძღვანელი ბელორუსიის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ციტოვიჩი, მოცეკვავეთა ჯგუფის ხელმძღვანელი პ. აკულენოკი) გამოსვლამ. მან შეასრულა სემენიაკის „ჰოი, შრიალებს მწვანე ტყე“ და ხალხური სიმღერა „ალუბალი“, აგრეთვე ეროვნული ცეკვა „ლიაონიხა“.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა — კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა ე. ჩავდარმა გულში ჩამწვდომი ხმით იმღერა კრაპივნიცკის „სოლოვეიკო“ და ბრუსილოვსკის „ორი მერცხალი“.

კვლავ გაისმის მხურვალე ტაში. გამოდის სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (სამხატვრო ხელმძღვანელი სსრ კავშირის სახალხო არტისტი იგორ მოისეევი). ლამაზი და მრავალფეროვანია ცეკვა „ზაფხული“, რომელიც ანსამბლმა უჩვენა ქორეოგრაფიული სიუიტიდან „წელიწადის დრონი“.

ურალის რუსულმა სახელმწიფო ხალხურმა გუნდმა (სამხატვრო ხელმძღვანელი ლ. ხრისტიანენი) შეასრულა რუსული ხალხური სიმღერა „ერთხელ მდინარეზე“ და როდიგინის „ურალური ცირცელი“. მაყურებელმა გულთბილად მიიღო ამ კოლექტივის შესრულებული „შაირები გარმონისტზე“.

კონცერტი დამთავრდა მასობრივი ცეკვით „ბოპაკით“ უკრაინული სიუიტიდან „ვეხნიანკი“, რაც ტემპერამენტით შეასრულა სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა.

უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. ტომაშენკომ და ე. ბერეზინმა შეასრულეს ინტერმედიები, რომლებშიც ბევრი მახვილგონიერება და მწვავე სატირა იყო. კონცერტს დირიჟორობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. მელიქ-ფაშაევი, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ნიბოლსინი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი კ. კონდრაშინი, გ. როდეფსტვენსკი, ს. გალპერინი. კონცერტის რეჟისორი იყო რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. ბარატოვი, მხატვარი — რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. პეტროვსკი. კონცერტს ხელმძღვანელობდა მ. ბალაშევიჩი.

კონცერტმა დიდი წარმატებით, მაღალი მხატვრული დონით ჩაიარა.

კონცერტს დაესწრნენ გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ი. კირიჩენკო, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტ. კალჩენკო, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ს. კოროტჩენკო, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სსრ კავშირის, რუსეთის სფსრ და უკრაინის სსრ მინისტრები, უკრაინის სსრ დელეგაცია, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციები, ქალაქ მოსკოვის პარტიული და საბჭოთა აქტივი, საწარმოთა წარმომადგენლები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები. დაესწრო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაცია. დამსწრეთა შორის იყვნენ დიპლომატიური კორპუსის წევრები. (საკდესი).

მ. ი. გლინკა

დაბადების 150 წლისთავის გამო

უდიდეს გენიოსთა სიაში, რომელთაც საუკუნოდ გაუთქვეს სახელი რუსულ ეროვნულ კულტურას, კომპოზიტორ მიხეილ ივანეს-ძე გლინკას საპელს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. როგორც პუშკინი რუსულ ლიტერატურაში, გლინკა იყო რუსულ მუსიკაში კლასიკური მიმართულების ფუძემდებელი, მან პირველმა აიყვანა იგი მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო მიღწევათა დონემდე. გლინკას ტრადიციები, რომელიც მგზნებარედ იბრძოდა მუსიკალურ შემოქმედებაში ხალხურობისათვის, დემოკრატიულობისათვის, საფუძვლად დაედო რუსული მუსიკალური კლასიკის მთელ შემდგომ განვითარებას. ამატომ ტყუილად რიდი იყო, რომ გამოჩენილი რუსი კომპოზიტორები — დაწყებული დარგომიჟსკით და სერროვით და დამთავრებული ბოროდინით, რიმსკი-კორსაკოვითა და გლაზუნოვით — თავიანთ თავს დარწმუნებულ „გლინკელებად“, ესე იგი დიდი გლინკას მიმდევრებად და მოწაფეებად თვლიდნენ.

მიხეილ ივანეს-ძე გლინკა დაიბადა 150 წლის წინათ, 1804 წლის 1 ივნისს სმოლენსკის გუბერნიის ქალაქ ელნიის მახლობლად მდებარე სოფელ ნოვოსპასკოეში. ბავშვობა გაატარა საშუალო შეძლების მემამულის ოჯახში. გლინკას პირველი მუსიკალური შთაბეჭდილებები იყო რუსული ხალხური სიმღერები, რომლებიც მას ესმოდა ახლომახლო სოფლების გლეხებისაგან. „შესაძლოა ეს სიმღერები, რომლებიც მოვისმინე ბავშვობისას, იმის პირველი მიზეზი იყო, რომ შემდეგში დავიწყე უმთავრესად რუსული ხალხური მუსიკის დამუშავება“, — იგონებდა შემდგომ გლინკა. მომავალ კომპოზიტორს სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში 1812 წლის სამამულო ომის ამბები — ნაპოლეონის ჯარების შემოსევა, სმოლენსკელი პარტიზანების გმირობა. ამ შთაბეჭდილებებმა დიდად შეუწყეს ხელი მის შემდგომ მუშაობას პატრიოტულ ოპერაზე „ივანე სუსანინი“.

გლინკამ ზოგადი განათლება მიიღო პეტერბურგის მთავარ პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ კეთილშობილთა პანსიონში. მისი აღმზრდელი იყო ნიჭიერი რუსი ლიტერატორი, პუშკინის მეგობარი და დეკაბრისტთა მოძრაობის აქტიური მონაწილე ვ. კიუხელბეკერი. ჰაბუკი გლინკა გაეცნო პუშკინსაც, რომელიც ხშირად დადიოდა პანსიონში. გენიალური ნაჭის ჰაბუკი ფორტეპიანოს დაკვრას და სიმღერას სწავლობდა პეტერბურგის საუკეთესო პედაგოგებთან და ძალიან ადრე სცადა თავისი კომპოზიტორული უნარი პატარა მუსიკალური პიესების შეთხზვით.

დიდი მუსიკოსის იდეურ ჩამოყალიბებაში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა მეგობრობამ პუშკინთან, გრიბოედოვთან, დელვიგთან და მაშინდელი ეპოქის სხვა მოწინავე ადამიანებთან. იგი ხვდებოდა აგრეთვე 1825 წლის დეკემბრის აჯანყების ზოგიერთ მონაწილეს; თავისუფლებისმოყვარული იდეები, რომლებიც გამეფებული იყო დეკაბრისტთა წრეში, ხელს უწყობდა გლინკას შემოქმედების დემოკრატიულ მიმართულებას, მის გაძლიერებულ ინტერესს ხალხური ხელოვნებისადმი.

ცდილობდა რა შეეცვლა თავისი ცოდნა მუსიკის დარგში, კომპოზიტორი 1830 წელს საზღვარგარეთ წავიდა. დაახლოებით ოთხი წელი გაატარა მან იტალიის სახელგანთქმულ მუსიკალურ ცენტრებში, სადაც სწავლობდა მუსიკის თეორიას, ინტერესით ისმენდა ტკბილხმოვან იტალიურ ოპერებს, ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთის გამოჩენილ კომპოზიტორებთან. მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ამან გაამდიდრა გლინკას მხატვრული ჰორიზონტი, კომპოზიტორი მტკიცედ დარწმუნდა, რომ მაშინდელი იტალიური ოპერის „გრძნობიერება“ და ხელოვნური „ტკბილხმოვანება“ უცხოა მისი რეალისტური მისწრაფებებისათვის.

რუსეთში რომ დაბრუნდა, გლინკამ მუშაობა დაიწყო თავის პირველ ოპერაზე, რომელიც მოგვითხრობს რუსი გლეხის ივანე სუსანინის პატრიოტული გმირობის შესახებ. ოპერაში ასახული ამბები ეკუთვნის XVII საუკუნის დასაწყისს, როცა რუსეთის ჯარმა მინინისა და პოჟარსკის მეთაურობით გაანადგურა პოლონეთის შლიახტის ინტერვენციონისტული ჯარები. კოსტრომელი გლეხის სუსანინის ლეგენდარულ სახეს, რომელმაც საცოცხლე შესწირა სამშობლოს კეთილდღეობას, არაერთხელ მიუპყრია მოწინავე რუსი მხატვრების ყურადღება (ამავე თემაზე დაწერილია დემოკრატი პოეტის რილეევის პატრიოტული „ფიქრი“. აგრეთვე კომპოზიტორ კავოსის ოპერა). ივანე სუსანინის შესახებ რუსული ჰეროიკულ-ტრაგიკული ოპერის შექმნის იდეამ გაიტაცა გლინკა; განსაკუთრებით აღელვებდა მას ოპერის კულმინაციური ეპიზოდი, როცა სუსანინს მტრის რაზმი ზამთარში უღრან ტყეში შეჰყავს, სადაც მტრებთან ერთად იღუპება და თავისი გმირობით სახელს უნვეჭს საყვარელ სამშობლოს.

მეფის სასახლის წრეები შეეცადნენ გლინკას პატრიოტული ჩანაფიქრი გამოეყენებინათ რეაქციული მონარქისტული პროპაგანდის მიზნებისათვის. ლობრეტოს შედგენაში მონაწილეობა მიიღო ნაკლებნიჭიერმა პოეტმა, ბარონმა როზენმა, რომელიც ცდილობდა ოპერაში შეეტანა ამ ოპერისათვის უცხო ერთგულქვეშევრდომული მოტივები. ნიკოლოზ პირველის მოთხოვნით ოპერა „ივანე სუსანინს“ სახელი შეუცვალეს და უწოდეს „სიცოცხლე მეფისათვის“. მაგრამ თვით გლინკას მუსიკა, რომელიც გამსჭვალულია ხალხური სულისკვეთებით და ბევრად უახლოვდება რუსული გლეხური სიმღერის შესანიშნავ ჰანგებს, პატრიოტული გრძნობის მთელი ძალით უმღერდა ხალხის წრიდან გამოსული უბრალო ადამიანის სულის სადიადეს და გმირობის სილამაზეს, გმირობას სამშობლოსათვის. ამიტომ ტყუილად როდი იყო, რომ თავადაზნაური დიდკაცობა, რომლითაც სავსე იყო ხოლმე პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის პარტერი, ზიზღით იღმიჭებოდა, როცა სცენაზე ხედავდა უბრალო გლეხს სოფლის ლარბულ ვითარებაში. „ეს მეეტლის მუსიკაა“, — ზიზღით ამბობდნენ „ივანე სუსანინზე“ არისტოკრატი სნობები, რომლებიც მონურად იხრიდნენ ქედს იტალიური ოპერის წინაშე. ამაზე თვით გლინკამ გასცა პასუხი თავის მემუარებში: „ეს კარგია და სწორიც არის, რადგან მეეტლეები, ჩემი აზრით, ბატონებზე უფრო საქმიანი არიან“.

რუსეთის საუკეთესო ადამიანებმა მიი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

I

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი: შემოსავლის ნაწილში 2.775.186 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 2.775.186 ათასი მანეთი. საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტით 1955 წლის 1 იანვრისათვის დამტკიცდეს 83.256 ათასი მანეთი.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან სულ 2.257.272 ათასი მანეთი, რაც შეადგენს ბიუჯეტის მთელი შემოსავლის 81,3 პროცენტს.

მუხლი 3. დაწესდეს 1954 წლისათვის ბიუჯეტში სახსრების შემოსავალი სახელმწიფო სესხებისაგან, რომლებიც მოსახლეობაში ვრცელდება ხელის მოწერით, 119.720 ათასი მანეთის რაოდენობით.

მუხლი 4. დამტკიცდეს 1954 წლისათვის ბიუჯეტის შემოსავალი მოსახლეობისაგან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით 48.528 ათასი მანეთი, რაც ნიშნავს, რომ ამ გადასახადით დაბეგვრის დონე 1952 წელთან შედარებით თითქმის ორჯერ მცირდება.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად 796.845 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან 587.619 ათასი მანეთი, ხოლო სულ 1.384.464 ათასი მანეთი, რაც ნიშნავს 95.161 ათასი მანეთით გადიდებას 1953 წელთან შედარებით.

მუხლი 6. დაწესდეს 1954 წლისათვის საბიუჯეტო ასიგნებანი სატყეო და ქაღალდის მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის და საშენ მასალათა მრეწველობის დასაფინანსებლად 48.237 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან 28.089 ათასი მანეთი, ხოლო სულ 76.326 ათასი მანეთი.

მუხლი 7. დაუმტკიცდეს 1954 წლისათვის საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების, აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციების ქსელის გაფართოების ღონისძიებათა განსახორციელებლად 476.152 ათასი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან — 204.325 ათასი მანეთი და საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან — 271.827 ათასი მანეთი.

მუხლი 8. დაწესდეს 1954 წლისათვის ბიუჯეტის გასავალი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და სოფლის მეურნეობის სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად 237.045 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან 122.599 ათასი მანეთი, ხოლო სულ 359.644 ათასი მანეთი.

მუხლი 9. დაწესდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში 1954 წლისათვის ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის სულ 1.766.286 ათასი მანეთი, რაც ნიშნავს 74.628 ათასი მანეთით გადიდებას 1953 წელთან შედარებით.

ცალკეულ სახეობათა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის ხარჯები დაწესდეს შემდეგი ოდენობით:

ა) განათლება და კულტურა — საყოველთაო სწავლების დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების, ტექნიკუმებისა და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო საკვლევი დაწესებულებებისათვის; საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებისათვის; მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად კურსებისა და სხვა ღონისძიებებისათვის; ბიბლიოთეკების, კულტურის სასახლეებისა და სახლების, კლუბების, თეატრების, პრესის და განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის — სულ 1.103.223 ათასი მანეთი;

ბ) ჯანმრთელობის დაცვა და ფიზიკური კულტურა — საავადმყოფოების, დისპანსერების, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაღების, სანატორიუმებისათვის და მოსახლეობისადმი სამედიცინო დახმარების გამწევი სხვა დაწესებულებებისათვის; სპორტული და ფიზკულტურული ღონისძიებებისათვის — 486.555 ათასი მანეთი;

გ) სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა — ომის ინვალიდებისა და მათი ოჯახების და ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარებისათვის; შრომის ინვალიდებისა და მათი ოჯახების პენსიების და დახმარებისათვის; ინვალიდთა სახლების შენახვისათვის; მუშათა და მოსამსახურეთა დროებით შრომის უნარის დაკარგვის, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის კვების გამო ქალთა დახმარებისათვის სულ 176.508 ათასი მანეთი.

მუხლი 10. დამტკიცდეს სამმართველო აპარატის შენახვის ღირებულების შემდგომი გაიაფება, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და რაც 1954 წელს სახელმწიფოს დაუზოგავს 1953 წელთან შედარებით სულ 12.798 ათას მანეთს.

II

მუხლი 11. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1954 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგი თანხებით: შემოსავალი — 2.368.406 ათასი მანეთი, გასავალი 1.252.315 ათასი მანეთი, ავტონომიური, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების სახსრების გასაძლიერებლად ანარიცხები სახელმწიფო გადასახადიდან და შემოსავლიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 1.116.091 ათასი მანეთი, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1955 წლის 1 იანვრისათვის 31.913 ათასი მანეთი.

მუხლი 12. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1954 წლის ბიუჯეტები შემდეგი თანხებით (ათას მანეთობით):

	შემოსავალი	მათ შორის: ანარიცხები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ბიუჯეტებიდან		გასავალი	საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1955 წ. 1 იანვრისათვის
			დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან		
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	159.843	118.508	—	159.843	4.795
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	125.696	94.251	—	125.696	3.771
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	65.507	26.544	31.092	65.507	1.965
4. ქალაქი თბილისი	327.861	161.430	—	327.861	6.558
5. ქალაქი ქუთაისი	59.082	35.709	—	59.082	1.182
6. ქალაქი ფოთი	19.378	11.886	—	19.378	582
7. ქალაქი წყალტუბო	11.294	7.621	—	11.294	226
8. ქალაქი რუსთავი	13.832	7.642	—	13.832	276
9. ქალაქი გორი	18.877	10.837	—	18.877	378
10. აბაშის რაიონი	10.317	4.724	4.950	10.817	533
11. ადიგენის რაიონი	9.144	1.681	6.592	9.144	391
12. ამბროლაურის რაიონი	12.011	3.093	6.515	12.011	577
13. ასპინძის რაიონი	8.126	639	7.015	8.126	318
14. ახალქალაქის რაიონი	17.694	6.089	8.206	17.694	810
15. ახალციხის რაიონი	17.567	13.789	—	17.567	563
16. ახმეტის რაიონი	10.572	3.464	6.295	10.572	496
17. ბოგდანოვკის რაიონი	9.063	1.905	6.416	9.063	460
18. ბოლნისის რაიონი	11.943	4.163	6.190	11.943	498
19. ბორჯომის რაიონი	13.746	8.409	—	13.746	447
20. გარდაბნის რაიონი	6.540	1.979	3.961	6.540	279
21. გეგეჭკორის რაიონი	16.368	5.271	9.383	16.368	886
22. გორის რაიონი	16.370	15.206	—	16.370	940
23. გურჯაანის რაიონი	15.645	12.632	—	15.645	646
24. დმანისის რაიონი	11.449	2.388	8.150	11.449	623
25. დუშეთის რაიონი	16.415	3.199	11.475	16.415	680
26. ვანის რაიონი	11.663	2.865	7.866	11.663	610
27. ზესტაფონის რაიონი	18.783	14.415	—	18.783	749
28. ზუგდიდის რაიონი	28.439	21.268	—	28.439	1.116
29. თეთრი წყაროს რაიონი	13.186	3.118	8.382	13.186	669
30. თელავის რაიონი	20.495	16.029	—	20.495	684
31. თერჯოლის რაიონი	9.396	2.825	5.986	9.396	445
32. თიანეთის რაიონი	7.663	1.670	5.482	7.663	326
33. კასპის რაიონი	13.649	10.809	—	13.649	615
34. კაჩრეთის რაიონი	8.399	2.413	5.498	8.399	384
35. ლაგოდეხის რაიონი	13.413	5.660	5.413	13.413	648
36. ლანჩხუთის რაიონი	12.864	10.570	—	12.864	573
37. ლენტეხის რაიონი	6.654	816	5.570	6.654	256
38. მაიაკოვსკის რაიონი	10.050	3.221	5.584	10.050	480
39. მარნეულის რაიონი	16.267	13.913	—	16.267	731
40. მახარაძის რაიონი	23.854	18.921	—	23.854	962
41. მესტიის რაიონი	7.846	1.394	6.168	7.846	356
42. მცხეთის რაიონი	10.395	8.310	—	10.395	467
43. ონის რაიონი	10.824	2.198	7.789	10.824	438
44. ორჯონიკიძის რაიონი	12.164	2.794	8.317	12.164	570
45. საგარეჯოს რაიონი	10.839	4.752	5.208	10.839	518
46. სამტრედიის რაიონი	18.024	13.832	—	18.024	693
47. საჩხერის რაიონი	10.285	2.593	6.936	10.285	491
48. სიღნაღის რაიონი	15.721	12.974	—	15.721	622
49. ტყიბულის რაიონი	14.698	11.281	—	14.698	524
50. ქარელის რაიონი	13.225	12.382	—	13.225	628
51. ქლუხორის რაიონი	8.678	5.778	—	8.678	224
52. ქუთაისის რაიონი	10.172	8.795	—	10.172	566
53. ყაზბეგის რაიონი	6.920	1.162	5.437	6.920	237
54. ყვარლის რაიონი	9.691	3.802	5.207	9.691	479
55. ჩოხატაურის რაიონი	12.031	4.168	6.603	12.031	574
56. ჩხოროწყუს რაიონი	9.347	3.455	5.284	9.347	490
57. ცაგერის რაიონი	10.808	3.063	6.636	10.808	466
58. ცხაკაიას რაიონი	17.306	12.551	—	17.306	668
59. წალენჯიხის რაიონი	9.940	3.635	5.634	9.940	497
60. წალკის რაიონი	14.041	2.586	8.997	14.041	722
61. წითელწყაროს რაიონი	10.064	8.560	—	10.064	365
62. წულუკიძის რაიონი	13.174	3.726	7.400	13.174	507
63. წყალტუბოს რაიონი	10.818	7.496	—	10.818	412
64. ჭიათურის რაიონი	9.240	1.893	6.850	9.240	550
65. ხაშურის რაიონი	17.320	13.814	—	17.320	656
66. ხობის რაიონი	9.685	4.499	4.539	9.685	490
სულ	1.522.871	853.035	263.026	1.522.871	51.343

დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯების შემადგენლობაში ასიგნობანი განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის სულ 1.209.360 ათასი მანეთი.

მუხლი 13. დამტკიცდეს 1954 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებული სადგურების შემოსავლიდან 25 პროცენტი;

ბ) სატყეო შემოსავლიდან 40 პროცენტი;

გ) ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100 პროცენტი;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, [illegible] შემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან, მოსახლეობაში ხელახმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხისა და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

	ანარიცხების პროცენტები: მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სსრკ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან	მოსახლეობაში ხელახმოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხის თანხიდან	ბრუნვის გადასახადიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	15	40	40	20	40	23,0
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	15	40	40	40	41	20,7
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	25	40	40	40	40	100,0
4. ქალაქი თბილისი	14	30	15	17	23	4,4
5. ქალაქი ქუთაისი	10	—	—	26	10	9,8
6. ქალაქი ფოთი	25	40	40	40	40	10,4
7. ქალაქი წყალტუბო	25	—	—	40	40	9,3
8. ქალაქი რუსთავი	10	—	—	20	40	25,5
9. ქალაქი გორი	80	—	—	40	40	35,7
10. აბაშის რაიონი	25	40	40	40	40	50,0
11. ადიგენის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
12. ამბროლაურის რაიონი	25	40	40	40	40	50,0
13. ასპინძის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
14. ახალქალაქის რაიონი	25	40	40	40	40	50,0
15. ახალციხის რაიონი	50	40	40	40	40	25,3
16. ახმეტის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
17. ბოგდანოვკის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
18. ბოლნისის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
19. ბორჯომის რაიონი	25	40	40	40	40	16,6
20. გარდაბნის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
21. გეგეჭკორის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
22. გორის რაიონი	100	40	40	40	40	49,8
23. გურჯაანის რაიონი	100	40	40	100	40	65,9
24. დმანისის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
25. დუშეთის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
26. ვანის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
27. ზესტაფონის რაიონი	50	40	40	40	40	13,0
28. ზუგდიდის რაიონი	25	40	24	40	40	26,2
29. თეთრი წყაროს რაიონი	25	40	40	40	40	100,0
30. თელავის რაიონი	50	40	40	40	80	41,7
31. თერჯოლის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
32. თიანეთის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
33. კასპის რაიონი	25	40	40	40	40	54,3
34. კაჩრეთის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
35. ლაგოდეხის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
36. ლანჩხუთის რაიონი	25	40	40	40	40	66,8
37. ლენტეხის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
38. მაიაკოვსკის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
39. მარნეულის რაიონი	25	40	40	40	40	80,0
40. მახარაძის რაიონი	25	30	20	40	40	16,5
41. მესტიის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
42. მცხეთის რაიონი	25	40	40	40	60	67,6
43. ონის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
44. ორჯონიკიძის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
45. საგარეჯოს რაიონი	25	40	40	40	40	50,0
46. სამტრედიის რაიონი	25	40	40	40	40	11,2
47. საჩხერის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
48. სიღნაღის რაიონი	50	40	40	40	50	76,3
49. ტყიბულის რაიონი	50	40	40	40	40	94,7
50. ქარელის რაიონი	100	100	100	100	100	31,9
51. ქლუხორის რაიონი	100	40	40	40	40	46,6
52. ქუთაისის რაიონი	100	40	59	100	90	91,2
53. ყაზბეგის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
54. ყვარლის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
55. ჩოხატაურის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
56. ჩხოროწყუს რაიონი	25	40	40	40	40	100,0
57. ცაგერის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
58. ცხაკაიას რაიონი	25	40	40	40	40	28,6
59. წალენჯიხის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
60. წალკის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
61. წითელწყაროს რაიონი	100	40	40	40	90	100,0
62. წულუკიძის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
63. წყალტუბოს რაიონი	100	40	40	40	40	37,9
64. ჭიათურის რაიონი	25	40	40	40	40	100,0
65. ხაშურის რაიონი	25	40	40	40	40	56,4
66. ხობის რაიონი	25	40	40	40	40	50,0

მუხლი 14. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში: შემოსავლის ნაწილში 2.713.283 ათასი მანეთი, გასავლის ნაწილში 2.656.057 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 57.226 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიერიძე.

ქ. თბილისი, 1954 წ. 29 მაისი.

მშვიდობისათვის, ბავშვთა ბედნიერებისათვის!

1 ივნისს მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობა აღნიშნავს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს.

ხუთი წლის წინათ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ, გაითვალისწინა რა ომის მზარდი საფრთხე და მშრომელთა ცხოვრების სულ უფრო გაუარესებული პირობები, მიმართა ყველა ქვეყნის ქალებს მოწოდებით — იმოქმედონ ბავშვების დასაცავად, მათი უფლებებისათვის, სიცოცხლისათვის, ახალი ომის საფრთხისაგან მათი გადარჩენისათვის.

წელს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ღონიშნება კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომი გაუარესების ვითარებაში, ახალი ომის მომზადებისა და აგრესიული სამხედრო ბლოკებისა და დაჯგუფებათა შეკოწიწების, მრავალი სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზის შექმნის პოლიტიკა, რასაც იმპერიალისტური ქვეყნები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით ახორციელებენ, გამალებული შეიარაღების პოლიტიკა მოითხოვს უდიდეს ხარჯებს, რაც მძიმე ტვირთად აწევს მხრებზე მუშებს, გლეხებსა და მთის ოჯახებს.

ძლიერდება ამ ქვეყნების ეკონომიკის მილიტარიზაცია, ხოლო ამასთან ერთად სულ უფრო ძლიერდება სამოქალაქო წარმოება, იზრდება ომისშეიარაღების რაოდენობა, ძლიერდება მშრომელი მასების გაღატაკება. მაგალითისათვის ავიღოთ ამერიკის შეერთებული შტატები. აქ 1 ივლისს იწყება ახალი საფინანსო წელიწადი. პრეზიდენტი ეიზენჰაუერი თავის წერილში მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტით ასიგნებული თვითეული დოლარის 68 ცენტი მოხმარდეს პირდაპირ სამხედრო ხარჯებს და ამავე დროს საბინაო მშენებლობის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ისედაც უმნიშვნელო ხარჯები 1953 წელთან შედარებით შემცირდეს დაახლოებით 2 მილიარდი დოლარით. ამერიკის შეერთებულ შტატებში მშრომელთა ცხოვრების დონის განუწყვეტელ დაქვეითებას მოწმობს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში ამერიკელი მუშების რეალური ხელფასი ომამდელთან შედარებით დაახლოებით 20 პროცენტით შემცირდა.

ანალოგიური მდგომარეობაა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. მაგალითად, ინგლისში მუშების რეალური ხელფასი შემცირდა 20-25 პროცენტით, ხოლო საფრანგეთში იგი ომამდელის ნახევარზე მეტს არ შეადგენს:

წლითიწლობით ძვირდება ცხოვრება კაპიტალისტურ ქვეყნებში. 1953 წელს ცხოვრება 1948 წელთან შედარებით გაძვირდა ინგლისში — 31 პროცენტით, საფრანგეთში — 45 პროცენტით, ავსტრიაში — 99 პროცენტით, ნორვეგიაში — 35 პროცენტით, დანიაში — 23 პროცენტით, იტალიაში — 17 პროცენტით და სხვ.

თუ რა კატასტროფულად ქვეითდება მშრომელთა ცხოვრების დონე, ამას მჭევრმეტყველურად მოწმობენ ფაქტები; როშლებიც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავჯდომარემ ჯუზეპე დი ვიტორიომ მოიყვანა პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესზე გაკეთებულ თავის მოხსენებაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მან ცხადყო, რომ დედამიწის მოსახლეობის ორი მესამედი სიღატაკეში ცხოვრობს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელთა ცხოვრების დონის სულ უფრო გაუარესების პირობებში მილიონობით ბავშვი შიმშილობს, მოკლებულია სინათლეს, ჰაერს. მათ არ იციან ბავშვობის სიხარული, მათთვის ცხოვრება მხოლოდ გაჭირვებაა. სისტემატური შიმშილობის, ანტისანიტარული პირობებისა და არასაკმაო მოვლის გამო ბავშვებში ჩნდება მრავალი სხვადასხვა სენი. ინგლისში ყოველი კვირის განმავლობაში 1.000-მდე ბავშვი კვდება ტუბერკულოზით, ესპანეთში სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის 75 პროცენტზე მეტი დაავადებულია ტუბერკულოზით.

განსაკუთრებით მძიმე პირობებში ცხოვრობენ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ბავშვები. ირანის ხალჩის მრეწველობაში მუშაობა 60 პროცენტი 14 წლამდე ასაკის ბავშვია. მათ შორის ცოტა როდია ოთხი წლის ბავშვი. და ეს პაწაწები 13-15 საათს მუშაობენ დღეღამეში! ირანში ბავშვთა 85 პროცენტი ისე იხოცება, რომ 15 წლამდეც ვერ აღწევს.

ბავშვთა დიდი სიკვდილიანობა რიდი აწუხებს კაპიტალისტებს. მათთვის მთავარია დიდი მოგება. საფრანგეთში გამოვიდა საზიზღარი კაცთმოძულეობით გამსჭვალული წიგნი სახელწოდებით „ძალიან ბევრია ბავშვი“. ამ ბინძური ნაწარმოების ავტორი ასეთ საშინელებას წერს: „ატომური ბომბის გამოგონება აუცილებელია, რადგან ჩვენ არაფერს არ ვაკეთებთ, რათა შევზღუდოთ ბავშვთა რაოდენობა, რომელიც ერთობ დიდია“.

ამერიკის შეერთებულ შტატებში წლითიწლობით დიდდება ბავშვთა დამნაშავეობა. პოლიცია ასეულ ათასობით ბავშვს აპატიმრებს. რატომ ხდება ეს? ბავშვები დამნაშავეებად რიდი იბადებიან. მათ დამნაშავეებად ხდის ცხოვრების უმძიმესი პირობები და ბავშვთა აღზრდის საზიზღარი, გამხრწნელი სისტემა, რომელიც შეგნებულად ინერგება ამერიკის შეერთებულ შტატებში. სკოლა, პრესა, კინო, რადიო, ტელევიზია ქება-დიდებას ასხამენ და ქადაგებენ ომს, ძალადობას. თვეში რამდენიმე ათეულ მილიონ ცალად გამოდის იაფფასიანი ეგრეთწოდებული „კომიქსები“ — ნიგნები, სადაც აღწერილია მკვლელობა, ძარცვა და ავაზაკობა, განგსტერთა და ჯაშუშთა თავგადასავალი. ასეთ გამოცემებს, აგრეთვე სათანადო კინოფილმებს დიდი რაოდენობით გზავნიან დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში, რათა იქაც გახრწნან მოზარდი თაობა. ამავე დროს კაპიტალიზმის ბანაკში მილიონობით ბავშვი ოჯახის მძიმე მატერიალური პირობებისა და სასკოლო შენობების მწვავე ნაკლებობის გამო მოკლებულია იმის შესაძლებლობას, რომ ისწავლოს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ათეულ მილიონობით ბავშვი სიღატაკეშია. მილიონობით უსახლკარო პატარა ბავშვი ქოხმახებშია შეკუნტული. ისინი ღამეს ათვევენ პარკებში, ქვაფენილზე, სახლების ნანგრევებში.

ასეულ მილიონობით კეთილი ნების ადამიანი მთელ მსოფლიოში იბრძვის იმპერიალისტების ავანტიურისტული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლებიც ახალ მსოფლიო ომს ამზადებენ და შიმშილს, სიღატაკეს, გაჭირვებას განუმზადებენ მილიონობით ბავშვს. ბავშვთა ბედნიერებისათვის ბრძოლა იმას ნიშნავს, რომ ვიბრძოლოთ იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ, ვიბრძოლოთ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს კიდევ უფრო ხმამაღლა გაისმის მოთხოვნები მშრომელთა, მათი ოჯახების; მათი შვილების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ. კიდევ უფრო ხმამაღლა გაისმის დედამიწის ყველა პატრიოტის ადამიანის ხმა, რომელნიც მოითხოვენ, რომ მოისპოს სისხლისღვრა ვიეტნამში; აღდგენილ იქნას მშვიდობა ინდოჩინეთში, მტკიცე მშვიდობა დამყარდეს კორეაში, მოითხოვენ საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიან გადაჭრას.

მიმდინარე წელს საბჭოთა ხალხი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ეგებება თავისი ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობის ვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების პირობებში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, პარტიისა და მთავრობის უდიდესი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის უზრუნველყოფენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის განუწყვეტელ ამაღლებას.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესება განაპირობებს ჩვენი ბავშვების კეთილდღეობას. მოსახლეობის ყოველწლიური წმინდა მატება უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში 3 მილიონ კაცს შეადგენს; ბავშვთა სიკვდილიანობა რამდენელ 1940 წელთან შედარებით ერთიანობად და უფრო მეტად შემცირდა. ბავშვებს ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, სახელმწიფო მათთვის არ იშურებს სახსრებს. ბავშვებისათვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ხშირი ქსელი დაწესებულებებისა: საბავშვო ბაღები, ბაგები; სანატორიუმები, კლუბები, საექსკურსიო-ტურისტული ბაზები და სხვ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა ბავშვებისათვის გამოხატულებას პოულობს იმითაც, რომ სახელმწიფო უდიდეს დახმარებას უწევს მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს. მარტო შარშან მათ მიეცათ დახმარება 6,5 მილიარდი მანეთის ოდენობით. სოციალისტურმა სამშობლომ საბჭოთა ბავშვებისათვის უზრუნველყო ნამდვილად ბედნიერი და ბედნიერი ბავშვობა.

ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვთა ყოველმხრივ განვითარებასა და აღზრდას. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ბავშვები სწავლობდნენ სკოლაში და იღებდნენ აუცილებელ განათლებას. საბჭოთა კავშირში დიდი მასშტაბით მიმდინარეობს ახალი სასკოლო შენობების შენებლობა. ფართო მასშტაბით წარმოებს ბედაგოგთა კადრების მომზადება. ბავშვთა ათასობით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი — პი

ბავშვებს მშვიდობა, სიცოცხლე, ბედნიერება!

სურათზე: თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პირველი საბავშვო ბაღის აღსაზრდელები.

ფოტოტიფუდი ვ. გინზბურგისა.

„ყურადღება — ბავშვები!“

დილით, როცა მუშები ქარხნებისაკენ მიეშურებიან, ბუჟარესტის ქუჩებში შეიძლება ნახოთ ავტომანქანები მსხვილი წარწერით: „ყურადღება — ბავშვები!“ ასეთ მანქანებს ყველა გზას უთმობს, მათთვის მაშინვე ინთება სამაფორების წმენე შუქი. ეს სამუშაოზე წასულ მუშა ქალთა შვილები ზიდიან საბავშვო ბაღებისაკენ.

„ყურადღება — ბავშვები!“ რა ზრუნვა, რა სიყვარულია ჩაქსოვილი ამ ორ სიტყვაში! მხოლოდ თავისუფალ, საკუთარი ბედის გამგებელ ხალხს შეუძლია ასე სათუთად, ასე გულთბილად მოეპყროს თავისი ქვეყნის პატარა მოქალაქეებს...

„ყურადღება — ბავშვები!“ — ეს მარტო ლამაზი, გულში ჩამწვდომი სიტყვები როდია, ეს არის დიდი, მეტად დიდი საქმე, რომლისთვისაც საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხები, კომუნისტური და მუშათა პარტიები არ იშურებენ არც ღონეს, არც ენერგიას, არც სიყვარულს.

განა ახლო წარსულში რუმინეთის ბავშვთა სიკვდილიანობის მხრივ პირველი ადგილი არ ეკავა ევროპაში? ახლა აქ ბავშვთა სიკვდილიანობა ერთთიორად შემცირდა. განა სახალხო ხელისუფლების დამყარებამდე ბულგარეთში მხოლოდ რამდენიმე საბავშვო ბაღი და ბაგა არ არსებობდა და ისიც სამოწყალოდ შეგროვებული გროშებით? ახლა ბულგარეთში მარტო საბავშვო ბაღების რიცხვმა 6 ათასს გადააჭარბა. განა განთავისუფლების წინა პერიოდში ჩინეთში ყოველი მეხუთე ბავშვი შიმშილით არ კვდებოდა? ამჟამად ჩინეთში არც ერთი ბავშვი არა გრძნობს თავს დამშეულად, ხოლო საბავშვო დაწესებულებების რიცხვი აქ 30-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა.

სიხარულსა და ბედნიერებას აუკსი თავისუფალი ქვეყნების პატარა მოქალაქეთა გული. მშობლიური სიყვარულით გამთბარნი, ისინი თამამად და დარწმუნებით შედიან ცხოვრებაში, და აი როცა ფიქრობ მათზე, უნებურად გახსენდება სოლატაკისა და მონობის მხარეში უდროოდ დამჭკნარი და ჩაფერფლილი ათეულ ათასობით ნორჩი სიცოცხლე.

ძრწოლის მომგვრელია კაპიტალისტურ ქვეყნებში ბავშვების ცხოვრება. შიმშილი, ტანჯვა, ავადმყოფობა, სიკვდილი ფეხდაფეხ დასდევს და არ შორდება მათ. საბერძნეთში ბავშვთა 75 პროცენტი ტუბერკულოზით არის დაავადებული, ინდოეთში იხოცება 15 წლამდე ასაკის ბავშვთა ნახევარზე მეტი, აქედან მარტო შიმშილისაგან ყოველწლიურად 1 მილიონი ბავშვი კვდება. ამერიკელი მასწავლებელი ქალი დოროთი უ. შეერთებულ შტატებში ბავშვთა მდგომარეობის შესახებ ნაღვლიანად აცხადებდა: „ჩვენ ყველას გვჯერა, რომ ბავშვები ჩვენი მომავალია. სად არის ჩემი ქვეყნის მომავალი? იგი მოკუნტული წევს ხიდის ქვეშ, იქექება ნაგვის ყუთში, მოწყალებას თხოულობს ქუჩებში!..“.

საფრანგეთის პატარა ქალაქ ლონგვიში ამ რამდენიმე ხნის წინათ მშვიდობის მოსიყვარეთა კონფერენციაზე გამოვიდა 10-11 წლის ბიჭუნგი პუარო და აღელვებულმა მორთოლვარე ხმით მოუწოდა შეკრებილებს: „საფრანგეთის დედებო და მამებო! მსოფლიოს ყველა ქვეყნის დედებო და მამებო! გთხოვთ გაერთიანდეთ და ისე გაკეთოთ, რომ ბავშვებმა არასოდეს, არასოდეს აღარ განიცადონ ომის საშინელებანი!“

პატარა გი პუარომ კარგად იცის, რა მოაქვს ომს. იგი ხომ ჰიტლერულ საკონცენტრაციონ ბანაში — რავენსბრუკში დაბადა, სადაც ნაცისტები ღუმელებში წვავდნენ ყველა ახლადდაბადებულს. პატარა ქალები საიოტლის რისკით მანამდე მალავდნენ და ზრდიდნენ ბიჭუნას, სანამ განთავისუფლების საათმა არ დაჰკრა.

ომი ბავშვების ყველაზე დიდი მტერია.

ომი საშიშია ბავშვებისათვის არა მარტო ბომბებით, ზარბაზნებითა და საკონცენტრაციონ ბანაკებით. ომისაგან ბავშვები იტანჯებიან მაშინაც, როცა იგი მხოლოდ მზადდება. გაოფთრებული შეიარაღება, რაც ამდიდრებს კაპიტალისტურ მონოპოლიებს, კიდევ უფრო აძლიერებს ხალხთა მასების ძარცვასა და გაღატაკებას. რაც უფრო მეტი თანხები იხარჯება ომის მომზადებისათვის, მით უფრო დაბლა ეცემა მშრომელი მოსახლეობის საარსებო დონე, მით უფრო ცუდად იკვებებიან და უსახარულოდ ცხოვრობენ მათი ბავშვები.

და აი დღეს მსოფლიოს მილიონობით პატიოსანი ადამიანი, მსოფლიოს ყველა ქვეყნის დედები და მამები ერთხელ კიდევ გამოდიან თავიანთი სიხარულის, თავიანთი მომავლის — ბავშვების დასაცავად. კვლავ მტუხარედ გაისმის მათი მტკიცე ხმა, რომელიც მოუწოდებს ომის, ამ საშინელი დანაშაულის აღკვეთისაკენ და რომელიც ერთხელ კიდევ გაახსენებს ადამიანებს:

„ყურადღება — ბავშვები!“

ა. კუსრაშვილი.

ჩვენი ბედნიერება

დედის ბედნიერება მისი შვილის ბედნიერებაა. ყოველ დედას თავის ბავშვისათვის სურს პატიოსანი ცხოვრება, მშვიდობიანი მომავალი. მეც სულით და გულით მსურს, რომ აღარ გამეორდეს წარსული საშინელი სისხლისღვრა, რომ ქვეყნად ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს მშვიდობა.

დედის გული ისეთ სასიხარულო წუთებშიც კი, როცა მისი პირმშო პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამს, შიშით თრთის — არ დაეცეს, არაფერი იტკინოს პატარამ! რაოდენ საძულველი და საშინელი უნდა იყოს მისთვის ომი, რომელიც სიკვდილითა და დასახიჩრებით ემუქრება ბავშვებს!

ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ იმ დიდ ყურადღებასა და ზრუნვას, რასაც მთელი ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მთავრობა და პარტია იჩენენ საბჭოთა ბავშვებისადმი. და იმ დროს, როცა მე, საბჭოთა ექიმი, სხვებთან ერთად ვიბრძვი ჩვენი ადამიანების საცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, გული დამშვიდებული მაქვს — ჩემი ბავშვი არც ერთი წუთით არ არის მოკლებული ყურადღებას, სამშობლოს მზრუნველი ხელი სათუთად იცავს მილიონობით საბჭოთა ბავშვების მშვიდობას, მათ ნათელ მომავალს.

ჩვენთვის, დედებისათვის, ეს ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

ნ. ხახუტაშვილი.

ჩვენი სიხარული

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, როცა მთელი მსოფლიოს პატიოსანი ადამიანები გულისტკივილით ფიქრობენ კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელთა შვილების უსიხარულო ბავშვობაზე, საბჭოთა ადამიანები თავიანთი ბავშვებით უდიდესი სიამაყის გრძნობას განიცდიან.

აი მოდიან ისინი გაზაფხულის მზიან დილას — თეთრწინსაფრიანი გოგონები, წითელყელსახვევიანი ბიჭუნები, ნორჩი უფროსკლასელები, და მოზრდილნი კეთილი ღიმილით აცილებენ, წარმატებებს უსურვებენ მათ.

საბჭოთა მოსწავლეები გამოცდებს აბარებენ...

სიმწიფის ატესტატმიღებულებს უკვე ელით უმაღლეს სასწავლებელთა ფართოდ გაღებული კარი. მალე ისინი სტუდენტები გახდებიან!

მხიარულად ფუსფუსებენ პიონერებიც, ემზადებიან — საბჭოთა კავშირის ყველაზე ლამაზ და ჯანსაღ ადგილებში ათასობით პიონერთა ბანაკი მიელის მათ. ამ ბანაკებში მილიონობით ბავშვი გაატარებს ზაფხულს.

ჩვენი ბავშვები წონაშე გადაშლილია ცხოვრების ფართო და მშვენიერი გზა. სიყრმიდანვე ეჩვევიან ისინი პატიოსან შრომას, სიყრმიდანვე უნერგავენ მათ კოლექტიურობის, მეგობრობის და სხვა ეროვნების ბავშვებთან ძმობის დიად გრძნობას.

ნ. გალავაძე.

მათ ერთი ფერის კანი აქვთ

რ. ჯეკი და ჯიმ პატერსონი ზანგები არიან. მათი წინაპრები ამერიკაში დაბადნენ, აქვე გაიზარდნენ და სიკვდილამდე საკუთარი ოფლით რწყავდნენ ამერიკელი პლანტატორების ბაჟებს.

აუტანელ ტანჯვაში დალია თავისი უსიხარულო დღენი ჯეკის პაპამ. შავი კანისათვის ჯეკის მამას თეთრკანიანმა ბატონმა ყველაზე შავი სამუშაო მიუჩინა.

პატარა ჯეკის სამშობლოც სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ქალაქი. შეუსრულდა თუ არა ბიჭუნას ექვსი წელი, თეთრკანიანმა ბატონმა ისიც პლანტაციას მიაჯაჭვა. ალიონიდან დაღამებამდე მამასა და პატარა დებთან ერთად ბამბას კრეფს ჯეკი. ბავშვებმა იმდენივე ბამბა უნდა მოკრიფონ, რამდენიც უფროსებმა. გასამჯელოდ კი ჩვეულებრივი ხელფასის მხოლოდ მეოთხედი ეძლევათ.

აროს დღეები, როცა ჯეკი სკოლაშიც დადის. ეს ფიცრული ჯეკის მამამ და მისმა მეგობრებმა აუშენეს ზანგ ბავშვებისათვის.

„სკოლამდე ორი საათის სავალია, — სწერს საბჭოთა ბავშვებს პატარა ჯეკი, — სწრაფი ავტობუსებით კეთილმოწყობილ სკოლებში ჭმოლოდ თეთრკანიანი ბავშვები დაჰყავთ. ისინი არასოდეს არ გვიჩერებენ მანქანას. უხეშად გვეპყრობიან, ხშირად გვცემენ. თუ გავბედეთ პასუხის გაცემა, მათი მამები „შავკანიან პარტუყეს“ გვიწოდებენ, მათრახით გვემასპინძლებიან.

ჩვენ მხოლოდ ორი წლის განმავლობაში ვსწავლობთ, ვეცნობით ანბანს, ვიცით მხოლოდ ჩათვლით კითხვა და ისამდე თვლა. ბევრ ჩვენგანს ესეც მალე ავიწყდება. მაგრამ მე არ მინდა დავივიწყო გაკვეთილები. მე უნდა ვისწავლო, რომ უფრო მეტი გავიგო იმ ქვეყნის შესახებ, ერთხელ რომ გვიამბო ერთმა თეთრკანიანმა ძიამ. მან მაშინ ძმებიც გვიწოდა. გვითხრა, თითქოს სადღაც შორს არის ქვეყანა, სადაც ბავშვებს არ ამუშავებენ. ისინი ვალდებული არიან იარონ სკოლებში, მათ შეუძლიათ ისწავლონ რამდენიც მოესურვებათ. ო! როგორ მინდა, რომ ჩემს დას — ლიზის ასეთ ქვეყანაში ეცხოვრა. ნეტა ჩვენთანაც ასე იქნებოდეს!“

რ. ჯეკის და ჯიმ პატერსონის კანი ერთი ფერის არის, მაგრამ ერთნაირი არ არის ამ ბიჭუნების ბედი.

ჯიმს ჰყავს დედა. იგი თეთრკანიანია. ჯიმის მამამ — ლიდ პატერსონმა ამერიკაში სამუშაო ვერ „შოვნა, პლანტაციაში მოკლული ჯიმის პაპის ხვედრს გამოექცა და საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა. აქ მან რუსი ქალიშვილი შეირთო. მათ ეყოლათ სამი შვილი — ჯიმი, ჯონი და თომა.

დაიბადე? იშრომე და იცხოვრე ბედნიერად — იშვილა ჩვენმა სამშობლომ სამამულო ომში დაღუპულ ლიდ პატერსონის შვილები.

ქ. რიგის ნახიმოვის საბელობის სასწავლებელში ახლაც ახსოვთ ქართველ კატელში გამოწყობილი ზანგი ბიჭუნა, რომელსაც მკერდს კომკავშირული ნიშანი უმშვენებდა. ნახიმოველები ამაყობდნენ, რომ სულ მალე მათი ზანგი ეზანგა საზღვაო ოფიცერი გახდებოდა. საბჭოთა ოფიცერის ჯიმის პატარა ძმები მოსკოვის კიევის რაიონის 73-ე და 59-ე სკოლის მოსწავლეები არიან. მათ არასოდეს არ მოელით ჯეკისა და მისი პატარა დების ბედი. მათ ამ ზაფხულსაც სიხარულით ელიან პიონერთა ბანაკებსა და დასასვენებელ სახლებში.

რ. ჯეკი და ჯიმ პატერსონი ზანგები არიან, მათ ერთი ფერის კანი აქვთ, მაგრამ მათი ცხოვრება სულ სხვადასხვაა, და ჯეკი გულით და სულით შენატრის ჯიმის ბედს: ის ქვეყანა, სადაც ჯიმი ცხოვრობს, მართლაც ზღაპრული და ბედნიერი ქვეყანაა.

გ. კასაბაშვილი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის გადაწყვეტილებანი

რეზოლუცია ატომური იარაღის საკითხზე

სრული მოსპობის ბრძა საშუალებანი ყველა ხალხს ემუქრებიან. მსოფლიოს შეგნება იღვიძებს. პარლამენტები, სახელმწიფო მოღვაწეები, უაღრესად მაღალი რელიგიური და მორალური ავტორიტეტის მქონე ადამიანები პროტესტს აცხადებენ.

ხალხთა სახელით ჩვენ მოვითხოვთ როგორც ყველაზე გადაუდებელ ღონისძიებას — საერთაშორისო შეთანხმების დადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს ვალდებულებას აღარ აწარმოონ ატომური და წყალბადის ბომბების გამოცდა და აღარ იხმარონ ამ სახეობათა იარაღი. ასეთი შეთანხმება მოამზადებდა და გააადვილებდა ქმედითი ღონისძიებათა მიღებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მათს სრულ აკრძალვას. იგი ხელს შეუწყობდა უახლოეს მომავალში შენელებულიყო საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობა, გამოიწვევდა შეიარაღების საყოველთაო შემცირებას, გზას გაუხსნიდა თანამშრომლობას ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებისათვის.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ორგანიზაციას, ყველა მოღვაწეს, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, ჩვენ ვთხოვთ ყველა პოლიტიკურ, პროფკავშირულ, რელიგიურ და კულტურულ ორგანიზაციას, ყველა ქვეყნის მამაკაცებსა და ქალებს — ერთად ეძიონ ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით საშუალებანი, რათა შიაღწიონ მთავრობათა შეთანხმებას შემდეგ ძირითად პუნქტებზე: მასობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღის წარმოების, შენახვისა და გამოყენების აკრძალვა და ამ აკრძალვისადმი სასტიკი კონტროლი, რომელიც სავსებით განსაზღვრიელებელია.

ბერლინი, 1954 წლის 28 მაისი.

რეზოლუცია უშიშროების საკითხზე

ინდოჩინეთის კონფლიქტში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევის საფრთხე, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ომის გაფართოება, ზეგავლენა, რომლის მიზანია „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნა, რაც განამტკიცებდა გერმანიის შეიარაღებას, ევროპისა და აზიის გათიშვა სამხედრო პაქტების პოლიტიკის საშუალებით, თერმოგულის იარაღის გამოცდა, რაც განახლებულია დაშინებისა და შანტაჟისათვის, — ყოველივე ეს მოლაპარაკებასთან დაკავშირებული პირველი იმედის შემდეგ ხალხთა შეშფოთების ახალი მიზეზებია.

სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის მოძრაობის, რომელმაც მიაღწია კორეაში დროებითი ზავის დადებას და ევროპისა და აზიის პრობლემებზე მოლაპარაკების დაწყებას, დღეს შეუძლია მიაღწიოს:

— ჟენევის თათბირის წარმატებით დამთავრებას, ესე იგი ინდოჩინეთში ცეცხლის შეწყვეტას და კორეასა და ინდოჩინეთში კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებას;

— ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა უარყოფას და გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ მოლაპარაკების განახლებას;

— მთავრობათა შორის შეთანხმებას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და იმის შესახებ, რომ ეს იარაღი არ გამოიყენონ.

მიუხედავად პოლიტიკური და სოციალური სისტემების განსხვავებისა, ყველა ხალხს აქვს საერთო ინტერესები. არ შეიძლება ამ საერთო ინტერესების დაცვა, არ შეიძლება თვითეული ადამიანის უშიშროებისა და ხალხთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ატომური შანტაჟისა და სამხედრო ბლოკებად მსოფლიოს გათიშვის გზით. ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა, აგრეთვე სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა საფრთხეს უქმნის ამ საერთო ინტერესებს.

არ შეიძლება უზრუნველყოფა შენი საკუთარი უშიშროება, თუ გარანტირებულ არ იქნა სხვების უშიშროება. საერთო უშიშროება უნდა უზრუნველყოს პირველ რიგში აზიისა და ევროპაში ყველა დაინტერესებულმა სახელმწიფომ, როგორიც უნდა იყოს მათი სოციალური და პოლიტიკური წყობილების განსხვავება.

ბერლინი, 1954 წლის 28 მაისი.

კულტურული კომისიის რეკომენდაცია

1. უკანასკნელი თვეები აღინიშნა გამამხნევებელი წარმატებით კულტურული გაცვლის დარგში. გაიმართა გონებრივი შრომის მუშაკთა მრავალი კონგრესი, თეატალური ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის დარგში მიღწეათა ჩვენება, დელეგაციების გამგზავრება, დიდ ადამიანთა და თვალსაჩინო ნაწარმოებთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, მასწავლებელთა, მეცნიერების მოღვაწეთა, სტუდენტთა, სპორტსმენთა და სხვ. შეხვედრები. ყოველივე ეს ადასტურებს ხალხთა სურვილს — გაუცვალონ ერთმანეთს თავიანთი შრომის, ტექნიკური პროგრესის ნაყოფი, მიღწევები მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში.

2. ამავე დროს წარმოიშვა და გაიზარდა ფართო ეროვნული მოძრაობანი, რომელთა მიზანია თვითეული ქვეყნის საკუთარი კულტურის განვითარება და ადამიანის ცოდნის შეტანა ხალხის ფართო მასებში. წინააღმდეგობას უწევენ რა ეროვნული კულტურის ჩახშობის ყოველ ცდას; რადგან ასეთი ცდები წარმოადგენენ ქვეყნების სუვერენიტეტის ხელყოფას, ეს მოძრაობანი ცდილობენ ხელი შეუწყონ ისეთ ნაწარმოებთა შექმნას, რომლებიც ადიდებენ ყოველი ხალხის ბიანი გადაჭრის შესახებ მოლაპარაკების განახლებას;

— მთავრობათა შორის შეთანხმებას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და იმის შესახებ, რომ ეს იარაღი არ გამოიყენონ.

მიუხედავად პოლიტიკური და სოციალური სისტემების განსხვავებისა, ყველა ხალხს აქვს საერთო ინტერესები. არ შეიძლება ამ საერთო ინტერესების დაცვა, არ შეიძლება თვითეული ადამიანის უშიშროებისა და ხალხთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ატომური შანტაჟისა და სამხედრო ბლოკებად მსოფლიოს გათიშვის გზით. ეროვნულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა, აგრეთვე სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა საფრთხეს უქმნის ამ საერთო ინტერესებს.

არ შეიძლება უზრუნველყოფა შენი საკუთარი უშიშროება, თუ გარანტირებულ არ იქნა სხვების უშიშროება. საერთო უშიშროება უნდა უზრუნველყოს პირველ რიგში აზიისა და ევროპაში ყველა დაინტერესებულმა სახელმწიფომ, როგორიც უნდა იყოს მათი სოციალური და პოლიტიკური წყობილების განსხვავება.

ბერლინი, 1954 წლის 28 მაისი.

დაიხურა უნგრეთის მშრომელთა პარტიის III ყრილობა

ბუდაპეშტი, 30 მაისი. (საკდესი). დღეს უნგრეთის მშრომელთა პარტიის III ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

ყრილობამ მიიღო უნგრეთის მშრომელთა პარტიის ახალი შეცვლილი წესდება.

ყრილობამ აირჩია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები — ცენტრალური კომიტეტი 71 წევრისა და 19 კანდიდატის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია 13 წევრის შემადგენლობით.

საბოლოო სხდომაზე თავმჯდომარემ მატიას რაკოშმა ყრილობის დახურვისას წარმოთქვა სიტყვა უნგრეთის მშრომელთა პარტიის III ყრილობის მუშაობის შედეგების შესახებ.

რაკოშმა აღნიშნა, რომ პარტიის მუშაობის შედეგად განმტკიცდა მისი რიგების ერთიანობა, გაძლიერდა პარტიის კავშირი ხალხთან, განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, რაც სახალხო ხელისუფლების საფუძველს შეადგენს.

ყრილობამ ცხადყო, განაცხადა რაკოშმა, რომ პარტია და მშრომელი ხალხი სავსებით და ერთსულოვნად უჭერენ მხარს სოციალიზმის შემდგომი მშენებლობის გეგმებს. ეს ცხადყო არა მარტო ყრილობის დელეგატთა გამოსვლებმა, არამედ სოციალისტური შრომითი შეჯიბრების წარმატებებმა, შეჯიბრებისა, რომელიც გაჩაღდა უნგრეთის მშრომელთა პარტიის III ყრილობის აღსანიშნავად.

შემდეგ რაკოშმა თქვა: ის ფაქტი, რომ ყრილობას ესწრებიან და სიტყვები წარმოთქვეს 30 მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა, მათ შორის უნგრეთის გაწმათავისუფლებელი — დიდი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა, მოწმობს უნგრეთში სოციალისტური მშენებლობის საერთაშორისო მნიშვნელობას.

ყრილობის მონაწილეებმა მქუხარე ოვაციამოაწყეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების პატივსაცემად.

როგორც წარსულში, ისე მომავალშიც, თქვა დასასრულ მატიას რაკოშმა, ჩვენი წარმატებების საწინდარი იქნება ის, რომ ყოველი ღონისძიებით გვიჭერენ მხარს ჩვენი განმათავისუფლებელი — მოძმე საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები.

რაკოშმა გამარჯვება უსურვა უნგრეთის მშრომელთა პარტიას და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით, პროლეტარულ ინტერნაციონალიზმის დროშით, წინ ახალი წარმატებებისაკენ, ახალი გამარჯვებებისაკენ!

მატიას რაკოშის ამ სიტყვებს მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა. ყველანი ფეხზე დგებიან. ყრილობის მონაწილეები მღერიან „ინტერნაციონალს“.

დამთავრდა მრავალდღიანი ველორბოლა



რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი ველორბოლა მიმდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთ საინტერესო ასპარეზობას წარმოადგენდა. შეჯიბრების მონაწილეებმა გამოამჟღავნეს საუკეთესო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება, ამტანობა.

ველორბოლის უკანასკნელ დღეს, 30 მაისს, გაიმართა მძაფრი ასპარეზობა. სპორტსმენები მთელი სისწრაფით მოჰქროდნენ ფინეთისაკენ. უკანასკნელ ეტაპზე (ხაშური-თბილისი) გაჭარჯვებული გამოვიდა სპარტაკელი გ. ჯოხაძე, რომელმაც 139 კილომეტრი 4 საათში, 42 წუთში და 14 წამში გაიარა.

დიადი თარიღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება წარმატებით დამთავრდა. გავლილია 1.150 კილომეტრზე მეტი. ველორბოლას შეჯიბრების პირველი დღეებიდანვე სათავეში ედგნენ სპარტაკელები, რომლებმაც მოპოვებული უპირატესობა ბოლამდე შეინარჩუნეს.

გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვებული გამოვიდა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ ველომრბოლთა კოლექტივი, რომელსაც გადაეცა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დიპლომი და ჯილდო.

პირად შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთმა უძლიერესმა ველორბრბოლმა სპარტაკელმა ვ. ძებნიაურმა (დრო — 31 საათი, 11 წუთი და 53,5 წამი). მეორე ადგილი დაიკავა სპარტაკელმა ა. სეფერიანმა (დრო — 31 საათი, 18 წუთი და 46,3 წამი). მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილები დაიკავეს ვ. პანკრატოვმა („სპარტაკი“), გ. ჯოხაძემ („სპარტაკი“) და კ. შენგელიამ („დინამო“).

სურათზე: მრავალდღიან ველორბოლაში გამარჯვებული ვ. ძებნიაური.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა“ კლასი

მოსკოვი, 31 მაისი. ამ დღეს დედაქალაქის „სტალინეცის“ სტადიონი სავსე იყო სპორტის მოყვარულებით. აქ გაიმართა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე მოსკოვის „ტორპედოსა“ და ცდსა-ს გუნდებს შორის. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ორმაგი ფეხბურთელთა გამარჯვებით 1:0.

კუიბიშევი, 31 მაისი. კიევის „დინამო“ კუიბიშევში შეხვდა ადგილობრივი „კრილია სოვეტოვის“ ფეხბურთელთა კოლექტივს. მატჩის შედეგია 1:0 კუიბიშეველთა სასარგებლოდ.

ლენინგრადი. 31 მაისი. დედაქალაქის „ლოკომოტივი“ ლენინგრადში თამაშობდა „ზენიტის“ წინააღმდეგ. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 0:0.

ხარკოვი. 31 მაისი. თბილისის დინამოელებმა XVI ჩემპიონატის პირველი წრის უკანასკნელი კალენდარული შეხვედრა გამართეს ხარკოვის „ლოკომოტივთან“. მატჩი მოიგეს ლოკომოტიველებმა 1:0.

„ბ“ კლასი

აშხაბადი. 30 მაისი. თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის ფეხბურთელთა გუნდი აშხაბადში შეხვდა ადგილობრივ „სპარტაკს“. გამარჯვეს არმიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 5:1.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურციკიძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

1 ივნისს

შ. გუნო — **ფაუსტი** და **ვალპურგის ღამე**

(პ. ლისიციანისა და ნ. დაუტოვის მონაწილეობით)

2 ივნისს

ჯ. ვერდი — **რიგოლეტო**

(პ. ამირანაშვილისა და ნ. დაუტოვის მონაწილეობით).

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ტარას ბულბა (ლვოვის თეატრის გასტროლები), **მარჯანიშვილის სახელობის** — ამხანაგი გიორგი, **გრიბოედოვის სახელობის** — პროკურორის ქალიშვილი, **მუსიკალური კომედიის** — ჩვენი ნაცნობები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — მესამე კურსის სტუდენტი (აბონემენტი № 43, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — თეთრად მოჩანს აფრა ეული (11 ს. და 3 ს.), **სანიტარული კულტურის** — ციხე.

შვილი ნადია ხუროძე, შვილიშვილები ლიანა, რევა, ალიკო დოლმაგარები, დები ელისაბედ, დარიკო, რძალი ოლია, მაზლისწულები ვერა, ვანო, თინა ოჯახებით იუწყებიან **მინადორა პავლეს ასულ ხუროძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-VI მათხოჯაში (წულუკიძის რ.).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამწლიანი რესპუბლიკური პარტიული სკოლის პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან **მარიამ გიორგის ასულ ჭანტურიას** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი იუწყება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მხატვარ **ალექსანდრე გრიგოლის-ძე ციმაკურიძის** გარდაცვალებას.

ძირულის საშუალო სკოლის პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან ექიმ **დავით პეტრეს-ძე ნიორაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-VI ძირულაში.

თბილისბოსტანეაჩრობის საწარმოო კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან **მარეხ როსტომის ასულ კალანდაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-VI ხიდისთავში (ჩოხატაურის რაიონი).

შვილები ბარბარე, თამარ, ეენია, შვილიშვილები ქეთო, გულნარა, ლილი, ნანა, სიძეები ე. საინოვი, შოთა ოისაკი იუწყებიან **ანა ნიკოლოზის ასულ კარდანაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-VI ვეისიციხეში.

მეუღლე ლოლა, შვილები მერი, ვენერა, უჩა, დიმიტრი, და სონა, ძმები გიორგი, ისაკი ოჯახებით იუწყებიან **ვლადიმერ პიმენის-ძე გამცემლიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-VI, 8 ს. გამოსვენება 3-VI, 5½ ს. ეპოდრომის ქ. № 51 (ვაკე).

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდეო-სამეურნეო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები იუწყებიან **შალვა სერაფიონის-ძე ჩიხლაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ნადეჟდა, შვილები ოისეფ, ვანო, მარო, სონია კახაძეები, რძლები მერი, თინა, შვილიშვილები ლამარა, ნათელა, რობერტ, ვაჟა, ნანა იუწყებიან **პეტრე ოტიას-ძე კახაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-VI, 8 ს. გამოსვენება 3-VI, 6 ს. უნივერსიტეტის ქ. № 50.

მეუღლე ეკატერინე, შვილი რეზო, ძმა დავით, და თამარ, რძალი მიფადორა იუწყებიან **ირაკლი ირაკლის-ძე თათიეშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-VI, 8 ს. გამოსვენება 3-VI, 6 ს. გოგოლის ქ. № 48.

მეუღლე ბაგრატ, შვილები ალიკო, გურია კვინიკაძეები, დედა ვერა, დები თამარ, მარგარიტა, ძმა ლევან ფაცურიები იუწყებიან **ქეთი ალექსანდრეს ასულ ფაცურია-კვინიკაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-VI, 8 ს. გამოსვენება 3-VI, 6 ს. ვაშლოვანის შესახვევი № 5.

ფოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

უე 04025